





შოთა რუსთაველის ეროვნული  
სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL  
SCIENCE FOUNDATION



# წლიური ანგარიში

2012





შოთა რუსთაველის ეროვნული  
სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL  
SCIENCE FOUNDATION

წლიური ანგარიში

2012

თბილისი, 2012

კოორდინაცია და რედაქცია: სულხან სისაური

მასალების მომზადება: თინათინ ბოჭორიშვილი, მარია გერსამია, ირაკლი ნოსელიძე, ანა ჩიქოვანი, ეკატერინე ნავროზაშვილი, თამარ გორგოძე, ლელა ლუდუშაური, დათით მესხი, ირინა ჯავახაძე, ნინო დემეტრაშვილი.

ყდაზე გამოყენებული ფოტო:

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

მოცემული პუბლიკაციის ტექსტის გამოყენება დაშვებულია მხოლოდ არაკომერციული მიზნებისათვის, წყაროს მითითებით.

## სარჩევი:

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორის მისალმება

მოვლენები და ფაქტები .....

საქმიანობა .....

- სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი ფუნდამენტური კვლევებისათვის
- სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი გამოყენებითი კვლევებისათვის
- სახელმწიფო გრანტი ერთობლივი კვლევებისათვის უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით
- საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევის საგრანტო კონკურსი
- საკონფერენციო გრანტების კონკურსი
- თემატური საკონფერენციო საგრანტო კონკურსი „ვაჟა-ფშაველა 150“
- ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლა
- ქართული საბავშვო ფოლკლორის კონკურსი
- ქართული ეროვნული სამოსის კვლევის კონკურსი
- მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი

### ახალგაზრდა მეცნიერებთა ხელშეწყობის პროგრამები

- უცხოეთში ახალგაზრდა მეცნიერთა სტაჟირების საგრანტო კონკურსი
- სახელმწიფო გრანტების კონკურსი დოქტორანტურის საგრანტო საგანმანათლებლო პროგრამების თანახელმძღვანელობისათვის

### კონკურსები და ოლიმპიადები მოსწავლეთათვის

- მოსწავლე-გამომგონებელთა კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“
- სასწავლო-შემეცნიერებითი კომპიუტერული პროგრამების საგრანტო კონკურსი
- ოლიმპიადები

### საერთაშორისო თანამშრომლობა

- ერთობლივი საერთაშორისო საგრანტო პროგრამები
- მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებში
- საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება და ხელშეწყობა
- საინფორმაციო-საკონსულტაციო დახმარება
- ურთიერთობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან
- საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა და უცხოელი სტუმრები
- საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ მეცნიერთა ფორუმი

ფინანსური ანგარიში

სახელმწიფო სამეცნიერო გრანტებით დაფინანსებული პროექტების მონიტორინგი



## სულხან სისაური

### შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი

სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერა და მეცნიერების განვითარება კვლავაც საქართველოს სახელმწიფოს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება. სწორედ სახელმწიფოს თანადგომითა და დახმარებით შესაძლებელი გახდა, 2011 წელი შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში ინოვაციებისა და ახალი კონკურსების გამოცხადების წლად ქცეულიყო.

საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერით წელს ადმინისტრაცია გაეწია 8 ახალ სამეცნიერო პროგრამას. მათ შორის უდავოდ გამოსაყოფია ქართველი ერის ინტელექტუალური და ნივთიერი მემკვიდრეობის კვლევის პოპულარიზაციისთვის დაწესებული საგრანტო კონკურსი - „სახელმწიფო გრანტი საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“; რომელიც მიზნად ქართული ისტორიული ძეგლების, კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების, ეთნოგრაფიული მონაცემების მაღალ სამეცნიერო დონეზე შესწავლას, მოძიებას, აღრიცხვა-სისტემატიზაციას ისახავდა მიზნად.

ფონდი ორიენტირებულია ქართველოლოგიური კვლევების განვითარებაზე. ზემოაღნიშნული კონკურსის ერთგვარ გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს ფონდის მიერ ინიცირებული შემდეგი კონკურსებიც:

- უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევების განხორციელება
- ქართული ეროვნული სამოსის კვლევა და
- ყოველწლიურად ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის ჩატარება.

აღსანიშნავია, რომ წელს ფონდმა კვლავ უმასპინძლა უცხოეთში მოღვაწე მეცნიერებს და, მათი გამოცდილებისა და მათთან სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივის მიზნით, საზღვარგარეთ მოღვაწე თანამემამულე მეცნიერთა რიგით მეორე ფორუმი ჩაატარა.

როგორც მოგხსენებათ, დღეს მეცნიერების საქმიანობაში კერძო სტრუქტურების ჩაბმა განსაკუთრებით აქტუალური და საშური საქმეა. ფონდმა გაიზიარა ეს სიახლე და წელსაც ქართველ

მეცნიერთა კვლევების კომერციალიზაციის ხელშემწყობი კონკურსი გამოაცხადა, საყურადღებოა, რომ სამეცნიერო პროექტების განხორციელებისას ბიუჯეტის 15% სწორედ პარტნიორი კომერციული ორგანიზაციების მიერ იქნება გაღებული.

ფონდი მონაწილეობს მნიშვნელოვან საერთაშორისო პროგრამებში და თანამშრომლობს უცხოურ სამეცნიერო ორგანიზაციებსა და ფონდებთან. მათ შორის აღსანიშნავია - ფონდისა და იტალიის ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო და **ქართველ და ფრანგ მეცნიერთა თანამშრომლობის ხელშემწყობი კონკურსები**. ასევე, მომზადდა გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის - Forschungszentrum Jülich (JÜLICH) ერთობლივი კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამა.

ფონდი განაგრძობს ახლაგაზრდა მეცნიერთა ფინანსურ მხარდაჭერას, მსოფლიო სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში მათი ჩართულობის, საერთაშორისო კვლევით პროექტებში ინტეგრაციის ხელშეწყობას. წელს უკვე მოქმედ **საგრანტო პროექტებს - პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტებსა და უცხოეთში სამეცნიერო-კვლევით სტაჟირებას** ახალი კონკურსი დაემატა „**სახელმწიფო გრანტები დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების თანახელმძღვანელობისთვის**“, რომლის შედეგადაც **3** გამარჯვებულ კონკურსანტს უცხოეთში მოღვაწე წარმატებული თანამემამულე მეცნიერები გაუწევენ თანახელმძღვანელობას. კონკურსი გძელვადიან თანამშრომლობაზე გათვლილი და იგი დაეხმარება როგორც უცხოეთში წარგზავნილ ახალგაზრდებს, ასევე საზღვარგარეთ მოღვაწე მეცნიერებს საშუალებას მისცემს, მუდმივი საქმიანი კონტაქტი შეინარჩუნონ სამშობლოსთან და აქტიურად ჩაერთონ საქართველოს სამეცნიერო საქმიანობის დონის ამაღლებაში.

ფონდი ზრუნავს მოსწავლე-ახალგაზრდობის განვითარებაზეც. მათი სწავლის დონის ამაღლებასა და ტექნიკური პროგრესის მიმართ ინტერესის გაღრმავებაზე. ამ მიზნით 2011 წელს ფონდმა 2-ჯერ გამოაცხადა მოსწავლე-გამომგონებელთა კონკურსი “ლეონარდო და ვინჩი”, აღსანიშნავია, რომ მეორე კონკურსმა საერთაშორისო მასშტაბი შეიძინა. გამარჯვებულებს გადაეცათ ფულადი პრემიები, მედლები და სერთიფიკატები, ხოლო გრანპრით ნომინირებულ მოსწავლეებს საშუალება მიეცათ, ერთთვიანი სასწავლო-შემეცნებითი ტურით ემოგზაურათ ევროპის ქვეყნებში.

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ფონდის წვლილი საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების შერჩევასა და ადმინისტრირებაში ფიზიკის, მათემატიკის, ინფორმატიკისა და ბიოლოგიის განხრით.

დაბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ფონდმა ტრადიციად აქცია გამოჩენილ ქართველ მეცნიერთათვის ღირშესანისნავი თარიღების მილოცვა. ფონდი მადლობას უხდის ჩვენი ქვეყნის ყველა მკვლევარს ქართულ მეცნიერებაში შეტანილი წვლილისა და ღვაწლისათვის.

# მოვლენები და ფაქტები

## 06.01.11 რუსთაველის ფონდის გენერალურმა დირექტორმა აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილს შობა მიულოცა



შობა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი, სულხან სისაური და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, ნოდარ სურგულაძე ყველაზე ხანდაზმულ აკადემიკოსს, ქალბატონ ნინო ჯავახიშვილს ესტუმრნენ და დამდეგი შობა მიულოცეს.

## 18.01.11 უძველესი ლითონწარმოების ნიმუშები ახალი სამეცნიერო-კვლევითი აპარატურით შეისწავლეს



შობა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი, სულხან სისაური საქართველოს ეროვნულ მუზეუმს ესტუმრა, სადაც ფონდის დაფინანსებით შეძენილ სამეცნიერო აპარატურას - არადესტრუქციულ პორტატულ ენერგოდისპერსიულ რენტგენო-ფლოუორესცენტულ სპექტრომეტრს გაეცნო. ახალი სპექტრომეტრი ქართველ მეცნიერებს საშუალებას აძლევს, ნივთის დაუზიანებლად შეისწავლონ საქართველოს მუზეუმებში დაცული კოლექციები, გააკეთონ უძველესი მხატვრული ლითონწარმოების ტექნიკური ანალიზი და დაადგინონ საუკუნეების წინ დამზადებული ოქრომჭედლობის ნიმუშების ქიმიური შემადგენლობა.

## 29.01.11 მეცნიერთა ჯგუფმა კავკასიის რეგიონში ატმოსფეროს ზედა ფენებში გლობალური დათბობის თანამდევი პროცესები შეისწავლა



შობა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი სულხან სისაური აბასთუმნის ე. ხარამის ასტროფიზიკურ ობსერვატორიას ესტუმრა, სადაც ფონდის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო კვლევითი პროექტის პრეზენტაციას დაესწრო. სამეცნიერო ჯგუფმა კავკასიის რეგიონში ატმოსფეროს ზედა ფენებში გლობალური დათბობის პარალელურად მიმდინარე პროცესები შეისწავლეს და გრძელვადიანი ცვლილებების განვითარების ტენდენციები გამოკვეთეს.

## 22.02.11 შობა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა იტალიის სამეცნიერო წრეებთან თანამშრომლობის მემორანდუმები გააფორმა



შობა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა იტალიის კვლევების ეროვნულ საბჭოსა და რომულადო დელ ბიანკოს ფონდის ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობის მემორანდუმები გააფორმა. კულტურათაშორისი დიალოგი, ტრადიციული ცოდნისა და მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა იქნება რუსთაველის ფონდისა და რომულადო დელ ბიანკოს ფონდის შორის ურთიერთთანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები. მხარეები გეგმავენ ერთობლივ ღონისძიებებს ისეთი ფუნდამენტური დირექტორების ირგვლივ, როგორებიცაა, "კულტურული მემკვიდრეობა", "კულტურათაშორისი დიალოგი" და "ტრადიციული ცოდნა".



## 26.02.11 ფონდის საქმიანობას მედიის წარმომადგენლები გაეცნენ

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საქმიანობას, მიზნებსა და ახალ ინიციატივებს მედიის წარმომადგენლები გაეცნენ. ფონდის გენერალური დირექტორი სულხან სისაური ჟურნალისტებს 2011 წლის პრიორიტეტებზე გასვლით სემინარზე ესაუბრა.

## 28.03.11 ქართველმა მეცნიერებმა საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე შეისწავლეს



საქართველოს ეროვნულ მუზეუმში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტისა და წიგნის “უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში ძვ.წ. VI-III ათასწლეულებში” პრეზენტაცია გაიმართა. პროექტი მიზნად ისახავდა უძველესი ცივილიზაციის ფორმირების პროცესში საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები საზოგადოების როლისა და ძვ.წ. VI-III ათასწლეულებში მეტალურგიული პროცესების შესწავლას. წიგნში პირველად გამოქვეყნდა უკანასკნელ წლებში საყდრისა და ბალიჭ-მეძვებში გათხრილი მსოფლიოს უძველესი ოქროს მადარობისა და მადნის მომპოვებელი საზოგადოების დასახლების უნიკალური კომპლექსის მონაცემები.

## 31.03.11 -09.04.11 შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების საკონკურსო პირობები ქუთაისისა და თელავის სამეცნიერო წრეებს გააცნო



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის წარმომადგენლებმა ახალი სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსების პირობები დაინტერესებულ მეცნიერებს გააცნეს. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი, სულხან სისაური ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს ესტუმრა. დაინტერესებულ მეცნიერ-თანამშრომლებთან შეხვედრისას სულხან სისაურმა გამოყენებითი და ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების საკონკურსო პირობების შესახებ პრეზენტაცია გამართა და ყურადღება იმ ცვლილებებზე გაამახვილა, რომლებიც ბოლო პერიოდში განხორციელდა.

## 30.04.11 ქართველმა მეცნიერებმა მდინარე ლიახვის ეკოლოგიური მდგომარეობა პირველად შეისწავლეს



30 აპრილს სასტუმრო “ვერე პალასში” ჩატარდა პროექტის სადემონსტრაციო დღე. რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა მარიამ გერსამიამ, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, გ.ელიავას სახ. ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის და ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერ-თანამშრომლებმა და სხვ.

## 04.05.11 პრეზიდენტმა მოსწავლე-გამომგონებელთა ნამუშევრების ექსპოზიცია დაათვალიერა



საქართველოს პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი, ექსპო-ჯორჯიას საგამოფენო პავილიონში მოსწავლეთა მიერ შექმნილი ინოვაციური პროექტების გამოფენას გაეცნო. გამოფენა პრეზიდენტის მიერ ინიცირებული კონკურსის “ლეონარდო და ვინჩი” ფარგლებში გაიმართა.

## 16.06.11 ეროვნულ ბიბლიოთეკაში პროექტის „ქართული პოსტსაბჭოთა ლიტერატურა“ პრეზენტაცია გაიმართა



ქართული პოსტსაბჭოთა ლიტერატურა კულტურული იდენტობის დისკურსში - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული კიდევ ერთი წარმატებული სამეცნიერო კვლევაა. კვლევის შედეგებისა და წიგნის პრეზენტაცია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩატარდა.

## 23.06.11 საფორტეპიანო შემსრულებლობის პირველი ქართული სამეცნიერო კვლევის პრეზენტაცია



შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა საფორტეპიანო შემსრულებლობის პირველი ქართული სამეცნიერო კვლევა დააფინანსა. ახალგაზრდა მეცნიერის ნინო ჟვანიას კვლევის შედეგებისა და წიგნის „თანამედროვე საფორტეპიანო შემსრულებლობა ზოგადკულტურულ კონტექსტში“ პრეზენტაცია საფორტეპიანო ნაწარმოებების ფონზე საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა.

## 15.07.11 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია სახელმწიფო ენის სწავლებაზე



ქართული ენის სწავლების საკითხებს, არსებულ პრობლემებს, გამოცდილებასა და თანამედროვე გამოწვევებს ორდღიანი სამეცნიერო კონფერენცია მიემდგვნა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებული და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი, ფონდის გენერალური დირექტორი სულხან სისაური, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ალექსანდრე კვიციანი.

## 21.07.11 ფიზიკის საერთაშორისო ოლიმპიადაზე საქართველოს ნაკრების ხუთივე წევრი დააჯილდოვეს



საქართველოს ფიზიკის ნაკრები ტაილანდის დედაქალაქში გამართულ ფიზიკის 42-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე 2 ბრინჯაოს მედლითა და სამი საპატიო სიგელით დააჯილდოვეს.

## 09.09.11 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „მუსხელიშვილი 120“



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში დიდი ქართველი მეცნიერის ნიკო მუსხელიშვილის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გაიხსნა. ღონისძიებას სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი და საქართველოსა და უცხოეთის სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები დაესწრნენ.

**20.09.11 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე - „უცხოეთის ქართული მემკვიდრეობა“**



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით კიდევ ერთი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გაიხსნა. საქართველოს საზღვრებს გარეთ ისტორიული ქართული ტერიტორიები, უცხოეთში არსებული ქართული მონასტრები, ხელნაწერები, საარქივო მემკვიდრეობა, და სხვა ქართული სიმკვლეები - ეს ის ძირითადი თემებია, რაზეც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ოთხი დღის განმავლობაში იმსჯელებს.

**26.09.11 მსოფლიოს 20-მდე ქვეყნის მეცნიერმა ორგანულ ქიმიამი არსებულ მიღწევები განიხილა**



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით ორგანულ ქიმიამი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ჰეტეროციკლური ქიმიის მიღწევები“ ჩატარდა. კონფერენციაზე ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმა ჰეტეროციკლების ქიმიამი, ასევე ქიმიის სხვადასხვა სფეროში მიღებული სამეცნიერო კვლევის უახლესი შედეგები განიხილეს.

**27.09.11 ცნობილმა უცხოელმა და ქართველმა ფიზიკოსებმა თბილისში მასშტაბური საერთაშორისო კონფერენცია გამართეს**



ფიზიკის სამეცნიერო მიმართულებაში ახალგაზრდა ნიჭიერი კადრების მოზიდვისა და უცხოეთში მოღვაწე წარმატებულ თანამემამულე მეცნიერთა სამშობლოსთან პროფესიული კონტაქტების გამყარების მიზნით, თბილისმა ფიზიკოსთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას უმასპინძლა. სამეცნიერო ღონისძიება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერითა და თავისუფალი უნივერსიტეტის, ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტისა და რაზამპის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ორგანიზებით ჩატარდა.

**28.09.11 ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 150-ე წლის იუბილე საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმით აღინიშნა**



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა სულხან სისაურმა ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 150-ე წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო სიმპოზიუმი გახსნა. სიმპოზიუმი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის თემატური საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტმა განახორციელა.

**10.11.11 ახალგაზრდა მეცნიერებს მეცნიერების საერთაშორისო დღე მიულოცეს**



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ, კოკა სეფერთელაძემ და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა, სულხან სისაურმა ქართველ მეცნიერებს მეცნიერების საერთაშორისო დღე მიულოცეს და ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირების კონკურსის გამარჯვებულებს სერთიფიკატები გადასცეს.

## 16.11.11 თბილისში საზღვარგარეთ მოღვაწე თანამემამულე მეცნიერთა ფორუმი გაიხსნა



თბილისში საზღვარგარეთ მოღვაწე თანამემამულე მეცნიერთა ფორუმი გაიხსნა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ორგანიზებული ფორუმის მიზანია, საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული სამეცნიერო პოტენციალის მოზიდვა, მათი გამოცდილებისა და კონტაქტების დახმარებით საქართველოს კვლევითი საქმიანობის განვითარება და სხვ.

## 18.11.11 საზღვარგარეთ მოღვაწე თანამემამულე მეცნიერებმა ცენტრალური რეფერალური ლაბორატორია დაათვალიერეს




საზღვარგარეთ მოღვაწე თანამემამულე მეცნიერებმა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორია დაათვალიერეს. მეცნიერებთან ერთად კვლევითი ცენტრის შესაძლებლობებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი სულხან სისაური გაეცნენ.

## 22. 11.11 ვიზიტი ინკლუზიურ სკოლა-პანსიონში



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებს წმ. გიორგობის დღესასწაული მიულოცა. სულხან სისაურმა ქ. თბილისის №203 ყრუ და სმენადაქვეითებულთა სკოლა-პანსიონის მოსწავლეებს საგანმანათლებლო-შემეცნებითი ლიტერატურა, გონების სავარჯიშო სპეციალური სათამაშოები, სპორტული ინვენტარი გადასცა და ნუგზარით გაუმასპინძლდა.

## 08.12.11 შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი გერმანიის უმსხვილეს სამეცნიერო ცენტრთან ითანამშრომლებს



საქართველოსა და გერმანიის კვლევით ინსტიტუტებსა და მეცნიერებს შორის თანამშრომლობის განვითარებისა და გაღრმავების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და იულიხის სამეცნიერო ცენტრს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა.

## 25.12.11 საახალწლო ნობათი სმენადაქვეითებულ ბავშვებს



განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებს დამდეგი ახალი წელი მიულოცეს. ნოდარ სურგულაძე და სულხან სისაური ქ.

თბილისის №203 ყრუ და სმენადაქვეითებულთა სკოლა-პანსიონის მოსწავლეებს საახალწლო წარმოდგენაზე ესტუმრნენ და სადღესასწაულო ნუგზარი მიართვეს.

## საქმიანობა

### სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები ფუნდამენტური კვლევებისათვის

შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა 2011 წლის 18 მარტს პირველად, ცალკე გამოაცხადა სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი ფუნდამენტური კვლევებისათვის (2011).

ფუნდამენტურ კვლევებში სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების მიზანი იყო ახალი, ან/და სრულყოფილი ცოდნის მიღება ამა თუ იმ სამეცნიერო დარგში, ან უკვე არსებული ცოდნის გამოყენებით რომელიმე პრაქტიკული ამოცანის გადაწყვეტა ინოვაციური მიდგომის, მეთოდისა და ტექნოლოგიის შესამუშავებლად.

საკონკურსო კვლევა ორიენტირებული იყო მოვლენების, ფაქტების, თეორიების, მოდელების, ახალი იდეებისა და კონცეფციების თეორიულ და ექსპერიმენტულ შესწავლა-ანალიზზე. დასაფინანსებელ კვლევას არ მოეთხოვებოდა უშუალო კომერციული სარგებლიანობა, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა ყოფილიყო სოციალურ-პოლიტიკური, საზოგადოებრივი, კულტურული ან/და ტექნიკური პროგრესის საფუძველი.

ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი მოიცავდა შემდეგ სამეცნიერო მიმართულებებს:

- 1) ქართველოლოგიის მეცნიერებები;
- 2) ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები;
- 3) საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები;
- 4) საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები;
- 5) მათემატიკური მეცნიერებები;
- 6) ფიზიკური და ქიმიური მეცნიერებები;
- 7) სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები;
- 8) სამედიცინო მეცნიერებები;
- 9) დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო;
- 10) აგრარული მეცნიერებები.

პროექტები წარმოდგენილი იყო უნივერსიტეტების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და სხვა ორგანიზაციების მიერ.

საკონკურსო პროექტების ხანგრძლივობა განისაზღვრა 6-დან 36 თვემდე. რეგისტრირებული პროექტების დიდი ნაწილი 24 - თვიან პერიოდზე იყო გათვლილი.

თითოეული პროექტისათვის მოთხოვნილი თანხა წელიწადში უნდა ყოფილიყო არა უმეტეს 50 000 ლარისა, ხოლო ორ და სამწლიან პროექტებზე, შესაბამისად, არაუმეტეს 100.000 და 150 000 ლარისა.

2012 წლის 22 თებერვალს ფონდის სამეცნიერო საბჭომ დაამტკიცა ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2011 წლის კონკურსის შედეგები.


ფონდის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით ყველა სამეცნიერო მიმართულებაში დაფინანსდა სამი მაღალქულიანი პროექტი - სულ 35.

ცხრილი 1. დაფინანსებული პროექტების ცხრილი

N	შიფრი	პროექტის სახელწოდება	სამეცნიერო ხელმძღვანელი	წამყვანი ორგანიზაცია
1	FR/468/1-30/11	ლაზურისა და მერჯულის შეპირისპირებითი გრამატიკა (პირველი ნაწილი, მორფოლოგია) საერთო ძირ-ფუძეთა ინდექსითურთ	<b>ჭაბუკი ქირია</b>	არნოლდ ჩიქოზავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
2	FR/361/1-20/11	XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემა (III-IV ტომები)	<b>ქეთევან გიგაშვილი</b>	იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
3	FR/307/1-20/11	არსენ ივალთოელის "დოგმატიკონი" და მისი მნიშვნელობა შუასაუკუნეების ქართული მწერლობისათვის (ტექსტების პუბლიკაცია და გამოკვლევა)	<b>მაია რაფაგა</b>	სსიპ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
4	FR/568/2-105/11	განმი ვანის ნაქალაქარიდან	<b>დიმიტრი აბგლედიანი</b>	სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმი
5	FR/73/2-130/11	ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია	<b>ლევან ალექსიძე</b>	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
6	FR/749/2-101/11	ქართული, დასავლური და აღმოსავლური ისტორიოგრაფიული ტრადიცია: შედარებითი კვლევები	<b>ნინო კილურაძე</b>	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
7	FR/167/3-101/11	რთულ საინჟინრო გეოლოგიურ პირობებში და სეისმურ რაიონებში ფერდობის მდგრადობის განგარიშების მეთოდის დამუშავება მასზე მდებარე ნაგებობების გათვალისწინებით	<b>პაპუნა მენაბდიშვილი</b>	კირიაკ ზაერევის სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეობის ცენტრი
8	FR/572/3-220/11	დიაბეტური ტერფის მკურნალობა სამედიცინო საფენებით	<b>ნატო ფაილოძე</b>	სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
9	FR/210/3-109/11	წყალსაცავების მოსილვის შესწავლა და მისი ზეგავლენის შეფასება ეკტროფიკაციის პროცესებზე (ქინეზის წყალსაცავის მაგალითზე)	<b>ზაალი ასკურაგა</b>	თბილწყალგეო
10	FR/242/3-200/11	გალვანური წარმოების ჩამდინარე წყლების მძიმე ლითონებისგან გაწმენდისა და კონცენტრირების, აგრეთვე უტილიზაციის მაღალეფექტური ელექტრო-მემბრანული ტექნოლოგიის დამუშავება. შესაბამისი ექსპერიმენტული დანადგარის შექმნა.	<b>ციცილო კურცხალია</b>	წულუკიძის სამთო ინსტიტუტი
11	FR/296/3-192/11	ოქროშემცველი ანთიმონის მადნების გადამუშავების ახალი, ეკოლოგიურად უსაფრთხო კომპლექსური ტექნოლოგიის შემუშავება	<b>ალექსანდრე კანდელაკი</b>	ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი
12	FR/507/4-150/11	ინფოკომუნიკაციური ქსელების საიმედოობრივი დაგეგმვის (სტრუქტურული მართვის) ახალი ნახევრადმარკოვული მოდელები	<b>რევაზ კაკუზავა</b>	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
13	FR/466/4-103/11	ციფრული გამოსახულების სემენტაცია და სემენტირებული გამოსახულების აღწერა	<b>ოთარ თავდიშვილი</b>	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
14	FR/204/4-104/11	ასტრონომიული ხელნაწერები საქართველოში	<b>ირაკლი სიმონია</b>	სსიპ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
15	FR/489/5-105/11	მოდალური ლოგიკის ტოპოლოგიური სემანტიკა	<b>დავით გაბელაია</b>	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
16	FR/14/5-109/11	ჰიდროსატრანსპორტო მილსადენების, როგორც განაწილებულ პარამეტრებიანი სისტემების, იძულებითი რხევების და ჰიდროდინამიკური პროცესების ანალიზი მათი უსაფრთხო ექსპლუატაციის უზრუნველყოფისთვის	<b>ლევან გავაშელი</b>	გაეროს საზოგადოებრივი ინფორმაციის დეპარტამენტთან ასოცირებული ეკოლოგიისა და სიცოცხლისუნარიანობის უსაფრთხოების მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის საქართველოს განყოფილება
17	FR/182/5-101/11	სასაზღვრო ამოცანები იმპულსურ და სხვაობიან განტოლებათა სისტემებისთვის	<b>მალხაზ აშორდია</b>	სოხუმის უნივერსიტეტი
18	FR/458/6-200/11	დენები კირალური ეფექტური ველის თეორიის რამდენიმე ნაწილაკის სექტორში	<b>ჯამბულ გეგელია</b>	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
19	FR/443/6-140/11	დარტყმითი ტალღის დინამიკა ნეიტრალურ აირებსა და პლაზმამი	<b>სულხან ნანობაშვილი</b>	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

20	FR/349/6-430/11	ფოტოკომპლექსი სპირობირანული სისტემების ფოტომგრძობიარობის გაზრდის ახალი მეთოდი	<b>კობტა ჯაფარიძე</b>	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
21	FR/175/6-200/11	კვანტური ქრომოდინამიკა მაღალ და დაბალ ენერჯიებზე	<b>ანზორ ხელაშვილი</b>	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
22	FR/238/6-250/11	ჰოლოგრაფიული ლაზერი ორმაგი განაწილებული უკუკავშირით	<b>ანდრო ჭანიშვილი</b>	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
23	FR/792/7-140/11	მემკვიდრული თრომბოზილის მოლეკულურ-გენეტიკური ასპექტები და მათი როლი ქართულ პოპულაციაში თრომბოზისა და ორსულთა პათოლოგიების განვითარებაში	<b>ნინო ფირველანი</b>	ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
24	FR/746/7-270/11	ჰიპოთალამუსის ორქესინის შემცველი ნეირონების პოპულაციები – ექსპერიმენტული კომიდან და ღრმა ნარკოზული ძილიდან თავის ტვინის დაზარალებული გამოსვლის შესაძლო ნეიროფიზიოლოგიური სუბსტრატი/უჯრედული სამიზნე	<b>ნარგიზ ნაჭყეია</b>	სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა ცენტრი
25	FR/771/7-230/11	გლობულური ცილების ენერგეტიკული ბუნება: კვანტური ეფექტების და კონფორმაციული ფლექსიბილობის როლი და გამოვლინება ფუნქციასა და სტაბილობაში	<b>დემეტრი ხოშტარია</b>	სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა ცენტრი
26	FR/24/7-110/11	საქართველოს კარსტული მღვიმეების უხეხილყო ცხოველთა ბიომრავალფეროვნება	<b>შალვა ზარჯაძე</b>	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
27	FR/491/8-316/11	ნატრიუმის პროქსიმალური რეაბსორბცია და კარდიოტონური სტერიოიდების როლი მარილმგრძობიარობის და მარილმგრძობიარე ჰიპერტენზიის განვითარებაში	<b>გაიანე სიმონია</b>	სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
28	FR/571/8-406/11	გარემოს ფაქტორების ზეგავლენა ალერგიის სიმპტომების პრევალენტობასა და მის დროში ცვლილებაზე საქართველოს ბავშვთა პოპულაციაში	<b>ამირან გამყრელიძე</b>	ალერგიისა და იმუნოლოგიის კვლევითი ცენტრი
29	FR/838/8-305/11	არაკონტოლირებადი არტერიული ჰიპერტენზიისა და მასთან ასოცირებული კარდიომეტაბოლური რისკის ფაქტორების გამოვლენა ურგენტული სამედიცინო სამსახურის პერსონალში	<b>გერმანე ლომთათიძე</b>	რ/კ სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი
30	FR/397/9-130/11	საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ნამარხი მუზეუმოვრების ტიპური ნიმუშების კატალოგი და პალეონტოლოგიური კოლექციების რეორგანიზაცია	<b>მაია ბუხსიანიძე</b>	სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმი
31	FR/575/9-220/11	დარიზმანმცველი წარმოების ნარჩენების გაუვნებლობა და მათგან სასაქონლო პროდუქციის მიღება	<b>მაია რუსია</b>	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
32	FR/268/9-150/11	აღმოსავლეთ აჭარა-თრიალეთის ფრონტული ნაწილის 3 განზომილებიანი სტრუქტურული მოდელი: მისი გამოყენება ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიების თვალსაზრისით	<b>ალექსანდრე ჭაბუკიანი</b>	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
33	FR/701/10-160/11	სუფრის ღვინოების ტექნოლოგიაში გოგირდოვანი ანჰიდრიდის შემცველი ბუნებრივი ანტიესპტივის გამოყენების მეცნიერული საფუძვლები	<b>ნანა ებელაშვილი</b>	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
34	FR/333/10-150/11	ჯანსაღი კვების პროდუქტების ტექნოლოგიების შემუშავება თაფლისა და ფუტკრის პროდუქტების გამოყენებით	<b>დოდო თავდიდიშვილი</b>	სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
35	FR/322/10-101/11	ბიოსისტემების მათემატიკური მოდელირება და მისი გამოყენება ციტრუსების ინტეგრირებულ დაცვაში	<b>გურამ ალექსიძე</b>	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

**დაფინანსებული პროექტების სრული ბიუჯეტი შეადგენს 4 117000 ლარს.**



პროექტის "ბიოპლემის წარმოების და გამოყენების ტექნოლოგია", სადემონსტრაციო დღე.

## სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები გამოყენებითი კვლევებისათვის

**შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა 2011 წლის 30 დეკემბერს გამოაცხადა სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი გამოყენებითი კვლევებისათვის (2011).**

სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის მიზანი იყო გამოყენებითი და ტექნოლოგიური ხასიათის სამეცნიერო კვლევების შემდგომი განვითარების, საერთაშორისო ან ადგილობრივ ბაზარზე მოთხოვნადი მაღალტექნოლოგიური ინოვაციური პროდუქტის შექმნის ხელშეწყობა. კვლევას შედეგად უნდა მოჰყოლოდა ახალი, გაუმჯობესებული პროგრამული უზრუნველყოფის, მასალების, სამკურნალო საშუალების, მოწყობილობისა და, პროტოტიპის სახით, სამრეწველო ნიმუშის კონსტრუქციის შექმნა, და შესაბამისი ტექნოლოგიის შემუშავება-სრულყოფა.

კონკურსი ორიენტირებული იყო კომერციულად ღირებული პროექტების შექმნაზე, რაც ხელს შეუწყობდა ქვეყანაში მიმდინარე სამეცნიერო კვლევებით კომერციული სექტორის დაინტერესებას, სამეცნიერო და ბიზნეს წრეების დაახლოებას და ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას.

პროექტს უნდა ჰყოლოდა თანადამფინანსებელი, რომლის თანამონაწილეობა პროექტის დაფინანსებაში უნდა გამოხატულიყო ფულადი შენატანის სახით (ბიუჯეტის 15% პარტნიორ კომერციულ ორგანიზაციებს უნდა გაეღოთ). თანადამფინანსებელი შესაძლებელია ყოფილიყო ბიზნეს-კომპანია ან ის კვლევითი დაწესებულება/უნივერსიტეტი, რომლის ბაზაზეც უნდა განხორციელებულიყო კვლევა.

საკონკურსოდ წარმოდგენილი კვლევის ხანგრძლივობა განისაზღვრა 12 ან 24 თვით, ხოლო წლიური ბიუჯეტი - 100 000 ლარით.

2012 წლის 22 თებერვალს ფონდის სამეცნიერო საბჭომ დაამტკიცა გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2011 წლის კონკურსის შედეგები. ფონდის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით დაფინანსდა 25 პროექტი.

*ცხრილი 2. დაფინანსებული პროექტების ცხრილი*

N	შიფრი	პროექტის სახელწოდება	სამეცნიერო ხელმძღვანელი	წამყვანი ორგანიზაცია თანამონაწილე ორგანიზაცია	თანადამფინანსებელი
1	AR/310/1-10/11	ქართული დამწერლობა (მონაცემთა ბაზა და პალეოგრაფიული ალბომი)	<b>ზაზა ალექსიძე</b>	სსიპ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი	ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეგობართა საზოგადოება
2	AR/70/1-10/11	საქართველოს ილუსტრირებული ისტორია ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის ძეგლთა მიხედვით	<b>ვაჟა კვიციანი</b>	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის 1 არხი
3	AR/351/1-10/11	ისტორიული საბუთების დედნების დიოტალიზაცია და მონაცემთა ბაზა	<b>თეა ქართველშვილი</b>	სსიპ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი	ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეგობართა საზოგადოება
4	AR/176/2-120/11	ინგლისურ-ქართული ბიოლოგიური ელექტრონული ლექსიკონი	<b>თინათინ მარგალიტაძე</b>	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
5	AR/389/2-110/11	გალაკტიონის ვებ-გვერდი	<b>ნატალია ლომოური</b>	გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი	გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი
6	AR/340/2-105/11	საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) ელექტრონული ენციკლოპედია. ძვ.წ. III-I ათასწლეულები	<b>ზურაბ მახარაძე</b>	სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმი	პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდი
7	AR/47/3-104/11	საქართველოში ნაგებობათა მდგრადობის გარდისათვის ახალი თაობის სიმტკიცის კლასის მიხედვით C50/60-C100/115 მარკის მოდიფიცირებული სტრუქტურისა და ნაკლებადანზოტროპული თვისებების ბეტონების ტექნოლოგიები	<b>ბელა კეშელავა</b>	სსიპ კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის და სეისმოძვებობის ცენტრი	სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
8	AR/141/3-121/11	ახალი ტიპის სპილენძ-გრავიტის კლასის ანტიფორციული მასალების მიღების ინოვაციური ტექნოლოგიის დამუშავება	<b>ია ჩიტრეკაშვილი</b>	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ტრანს ნდ
9	AR/101/3-104/11	უკლინკერო შემკვერელი მასალების (ცემენტების) წარმოება მეორადი მინერალური რესურსებიდან ახალი ნანოტექნოლოგიების გამოყენებით	<b>ვახტანგ კანკავა</b>	სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ნიდოლი



10	AR/320/4-105/11	თანამედროვე ქართული ენის კორპუსის ანოტირებისა და ანალიზის პროგრამები	<b>ნინო დობოჯიანიძე</b>	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
11	AR/54/4-100/11	ქაღალდის საფუძველზე დამზადებული ქოლესტერული თხევადკრისტალური ინტერფერენციული სარკე ახალი სახეობის ამრეკლავი დისპლეებისათვის	<b>გია პეტრიანიძე</b>	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
12	AR/39/4-140/11	რკინიგზის ავტომატიკისა და ტელემექანიკის ახალი საინფორმაციო სისტემა ინტელექტუალური გადაწყვეტილების ბაზაზე	<b>ნიკოლოზ მღებრიანი</b>	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ტრანსპორტი
13	AR/48/4-104/11	GeoTeX-ქართული ენის მხარდაჭერა TeX სისტემაში	<b>ლევან შოშიაშვილი</b>	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
14	AR/91/5-109/11	თერმოდრეკადობის გამოყენებით არაკლასიკური ამოცანები სხვადასხვა მრავალფენიანი სხეულებისათვის და მათი სიმტკიცეზე გასათვლელი სახელმძღვანელო თეორიულ-ტექნიკური მასალა სათანადო პროგრამით	<b>ნური ხომასურიძე</b>	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
15	AR/338/6-440/11	ახალი ტიპის სათბობის ელემენტების დამუშავება	<b>პაატა ნიკოლეიშვილი</b>	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
16	AR/311/6-420/11	სტაბილური 13C იზოტოპით მარკირებული ზოგიერთი ფარმკოპარატის მიღების მეთოდების შემუშავება	<b>იოსებ ჩიკვაძე</b>	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
17	AR/29/6-260/11	თანამედროვე მაღალტექნოლოგიური მასალების ფოტოსტიმულირებადი სინთეზის ახალი ტექნოლოგიის და აპარატურის შემუშავება	<b>ზურაბ ჯიბუტი</b>	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
18	AR/242/7-280/11	მცენარეული ნედლეულის ბიოკონვერსიის ინოვაციური და კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიების შექმნა დამატებითი დირექტორების პროდუქტების წარმოებისათვის საქართველოში	<b>ვლადიმერ ელისაშვილი</b>	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
19	AR/307/7-250/11	ბაქტერიოფაგების გაქმნისა და შრობის ახალი ტექნოლოგიის შემუშავება	<b>რამაზ ქაცარავა</b>	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
20	AR/267/7-250/11	სამედიცინო დანიშნულების ბიოდეგრადირებადი ფუნქციური პოლიესტერამიდ-პოლიმეცების მიღების ახალი გამარტივებული იაფი და ეკოლოგიურად დამზოვი ტექნოლოგიის შემუშავება	<b>დავითი ტუღუში</b>	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
21	AR/109/8-403/11	ახალი მცენარეული ბიოპოლიმერის საფუძველზე ჭრილობის შემახორცებელი თანამედროვე – II თაობის მზა წამალთფორმების შემუშავება	<b>ალიონა ბაკურიძე</b>	სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	შპს „ნეოფარმი“
22	AR/269/8-403/11	აჭარის რეგიონში გავრცელებული ლამიანი სულფიდური პელოიდების კვლევა სამედიცინო და კოსმეტოლოგიურ პრაქტიკაში გამოყენების მიზნით	<b>ნელი კაკულია</b>	სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	შპს „ნეოფარმი“
23	AR/136/9-110/11	კლიმატის თანამედროვე ცვლილების ფონზე ალანის ველის დამლაშებული ნიადაგების დეგრადაციის შემარბილებელი ქმედებების შემუშავება	<b>ლალი შავლიაშვილი</b>	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
24	AR/130/9-240/11	ჰიდროსაინჟინრო და გარემოსდაცვითი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები ქ.ფოთის შავიზღვისპირა რეგიონში	<b>იური ქაძარია</b>	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფოთის საზღვაო ნავსადგური
25	AR/359/10-160/11	უმაღლესი ხარისხის (საბაზისო და სერტიფიცირებული) სათესლე კარტოფილის წარმოება ბიოტექნოლოგიური მეთოდების გამოყენებით	<b>რუსუდანი მდივანი</b>	ახალგაზრდა მეცნიერთა ცენტრი (კავშირი) "იზოტოპები"	აგროსორტი

დაფინანსებული პროექტების სრული ბიუჯეტი შეადგენს 2 718 000 ლარს.

## სახელმწიფო გრანტი ერთობლივი კვლევებისათვის უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით

2011 წლის 8 ივნისს შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა გამოაცხადა ახალი კონკურსი - „სახელმწიფო გრანტი ერთობლივი კვლევებისათვის უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით“.

უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების კონკურსის მიზანი იყო საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებში მომუშავე წარმატებულ თანამემამულეებთან საქართველოს სამეცნიერო ჯგუფების მჭიდრო პროფესიული ურთიერთობის ხელშეწყობა.

საგრანტო დაფინანსება დაეხმარება საქართველოში მომუშავე მკვლევრებს, უკეთ გაეცნონ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში არსებულ სამეცნიერო სიახლეებს და აითვისონ თანამედროვე კვლევითი ტექნოლოგიები. ერთობლივი პროექტების განხორციელება ჩვენი სამეცნიერო დიასპორის წარმომადგენლებს საშუალებას მისცემს, მუდმივი საქმიანი კონტაქტი ჰქონდეთ სამშობლოსთან და თავისი ცოდნა და გამოცდილება მოახმარონ საქართველოში მეცნიერების დონის ამაღლებას.

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ:

1. მკვლევართა ჯგუფსა და საბაზო ორგანიზაციას, საქართველოში რეგისტრირებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ააიპ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს, კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლის წესდების/დებულების მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას; საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან კონკურსში საბაზო ორგანიზაციის სტატუსით მონაწილეობის უფლება ჰქონდა მხოლოდ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას.

საკონკურსოდ წარმოდგენილი კვლევის ხანგრძლივობა განისაზღვრა 24, 30 ან 36 თვით, ხოლო წლიური ბიუჯეტი - 50 000 ლარით.

დარეგისტრირდა 55 საპროექტო განაცხადი შემდეგი სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით:

1. დედამიწის შესწავლელი მეცნიერებები და გარემო ;
2. მათემატიკური მეცნიერებები/ მათემატიკა, მექანიკა;
3. საინჟინრო მეცნიერებები, /მაღალტექნოლოგიური მასალები;
4. საინფორმაციო ტექნოლოგიები, /ტელეკომუნიკაციები ;
5. სამედიცინო მეცნიერებები;
6. სიცოცხლის შესწავლელი მეცნიერებები ;
7. ფიზიკური და ქიმიური მეცნიერებები/ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები ;
8. ქართველოლოგია ;
9. ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები, ეკონომიკური მეცნიერებები;

2011 წლის 8 სექტემბერს, რიგით მეექვსე სხდომაზე, ფონდის სამეცნიერო საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო 4-ხარვეზიანი პროექტის კონკურსიდან მოხსნის თაობაზე. კონკურსი ჩატარდა 2 ეტაპად.

2012 წლის 22 თებერვალს ფონდის სამეცნიერო საბჭომ დაამტკიცა “უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის” სახელმწიფო გრანტების კონკურსის 10 გამარჯვებული პროექტი.

ცხრილი 3. დაფინანსებული პროექტების ცხრილი

#	პროექტის შიფრი	პროექტის სახელწოდება	ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის თანახმდგანწერილი
1	DI/16/4-120/11	შეზღუდვებიანი ლოგიკური პროგრამირება ურანგო ტერმებზე და მათ მიმდევრობებზე აღწერის ოპერატორებით	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	თეიმურაზ კუცია	თემურ ჯანგველაძე
2	DI/40/8-313/11	საქართველოს პოპულაციაში ეპილეფსიის რეზისტენტული ფორმების განმსაზღვრელი რისკ-ფაქტორებისა და ეპიდემიოლოგიური პარამეტრების შესწავლა	საქართველოს ძილის კვლევისა და ძილის მედიცინის კავშირი	გიორგი კუჭუხიძე	სოფიო კასრაძე
3	DI/54/9-190/11	აბასთუმანში (41.750N, 42.820E) უღრუბლო დღეების და ღამეების გრძელვადიანი, წლიური და	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მიხეილ ალანია	გოდერძი დიდებულაძე

		შიდაწლიური ცვლილები, სხვადასხვა მზისა და გეომაგნიტური აქტივობის პირობებში, როგორც კოსმოსური ფაქტორის კლიმატის ცვლილებაზე გავლენის ინდიკატორი			
4	DI/13/6-100/11	კვანტური ქრომოდინამიკის ეფექტური თეორიები და გამოთვლები მესერზე	საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	აკაკი რუსეცი	ანზორ ხელაშვილი
5	DI/19/6-200/11	ელექტრული დიპოლური მომენტის კვლევები იულისში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ანდრო კაჭარავა	ნოდარ ლომიძე
6	DI/12/5-103/11	სიმპლიციური ალგებრა, ჰომოლოგიის თეორიები, K- თეორია და გამოყენებები ალგებრული და ტოპოლოგიური სტრუქტურებისათვის	თბილისის მათემატიკური მეცნიერებების ცენტრი	ალექსანდრე ჩიგოგიძე	ნიკოლოზ ინასარიძე
7	DI/7/5-100/11	ფუნქციონირების სივრცითა გეომეტრია, ინტერპოლაცია და ჩართვის თეორემები	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ამირან გოგატიშვილი	ანა დანელია
8	DI/39/6-200/11	ახალი ფიზიკის სიგნალის მიება ATLAS ექსპერიმენტზე	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ირაკლი მინაშვილი	გელა დევიძე
9	DI/14/7-276/11	ჰიპოკამბდამოვიდებული მესხიერების მოდულაცია სუბტოპოკამპური ქოლინერგული და არაქოლინერგული პროექციებით: ქვეითი და იმუნოციტოქიმიური კვლევა	სივოცხის შემსწავლელ მეცნიერებათა ცენტრი	ლევან მუსხელიშვილი	მანანა დანაიანი
10	DI/43/3-122/11	მეტალური და პოლიმერული მასალების ზედაპირების მექანიკური და ელექტრული თვისებების მოდიფიცირება თანამედროვე ლაზერული ტექნოლოგიების გამოყენებით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ოთარ მგალობლიშვილი	ნანა ბაქრაძე

დაფინანსებული პროექტების სრული ბიუჯეტი შეადგენს 1 300 000 ლარს.



პროექტი - „ხუროთმოძღვრები და მშენებელი ოსტატები შუა საუკუნეების საქართველოში“ ა. აწყურის ტამარი. საკუროთხევლის აფსიდის კედელი; ოზაანის ამაღლება. ბ. ატაკის კერამიკული ფილები (ზ. მასურაძის ნახატის მიხედვით); გ. სვეტიცხოვლის ტაძრის კერამიკული მოდელო.

საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის  
სამეცნიერო კვლევის საგრანტო კონკურსი

**შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა 2011 წლის 9 აგვისტოს გამოაცხადა** სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი - „სახელმწიფო გრანტი საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“, რომელიც მიზნად ისახავდა: საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული ისტორიული ძეგლების, კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების, წერილობითი და სხვა სახის წყაროების, საარქივო მასალის, ეთნოგრაფიული მონაცემების მაღალ სამეცნიერო დონეზე შესწავლის ხელშეწყობას, მათ მოძიებას, აღრიცხვასა და სისტემატიზაციას, ქართველი ერის ინტელექტუალური და ნივთიერი მემკვიდრეობის კვლევის პოპულარიზაციას და ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მოზიდვას ამ სფეროში.

პროექტის მაქსიმალური ხანგრძლივობა 3 წელს შეადგენდა. ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსება ყოველწლიურად არ უნდა აღმატებოდა 100 000 ლარს. კვლევების დასაფინანსებლად დაშვებული იყო უცხოური სამეცნიერო ფონდებიდან ან სხვა დონორი ორგანიზაციებიდან დამატებითი თანხის მოზიდვა.

2011 წლის 24 ნოემბერს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭომ მეცხრე სხდომაზე განიხილა კონკურსის შედეგად შემოსული 22 საპროექტო წინადადება. საბჭოს სხდომაზე ჩატარდა წარმოდგენილი განაცხადების პრეზენტაცია და სამეცნიერო საბჭომ დასაფინანსებლად შეარჩია 5 საუკეთესო პროექტი.

*ცხრილი 4. დაფინანსებული პროექტების ცხრილი*

№	რეგისტრაციის №	პროექტის დასახელება	პროექტის ხელმძღვანელი	წამყვანი ორგანიზაცია
1	№4471	თურქეთის ქართველები: ისტორია, სულიერი და მატერიალური კულტურა, ენობრივი ვითარება	არქიმანდრიტი ადამი (ვახტანგ ახალაძე)	აიპ-საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი.
2	№4491	საქართველოს ფარგლებს გარეთ მდებარე ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების ინტერაქტიური ისტორიულ-გეოგრაფიული რუკის და საცნობარო-საილუსტრაციო მონაცემთა ბანკის შექმნა	რევაზ გაჩეჩილაძე	აიპ-საქართველოს ალ. ჯავახიშვილის სახელობის გეოგრაფიული საზოგადოება
3	№4492	ლაზეთი-სამეცნიერო კვლევის ობიექტი თანამედროვე თურქეთში (ისტორია, კულტურა, ენათმეცნიერება)	ქეთევან ლორთქიფანიძე	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
4	№4489	ქართული ენა საზღვარგარეთ-ქართული დიალექტები და ლაზური თურქეთში, აზერბაიჯანსა და ირანში	ლალი ეზუგბაია	აიპ-თავისუფალი უნივერსიტეტის გამოყენებითი და ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევის ცენტრი.
5	№4475	ისტორიული ქანეთის აღმოსავლეთ ნაწილში დაცული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები (საფორტიფიკაციო ნაგებობები, ეკლესიები, საკომუნიკაციო და საყოფაცხოვრებო არქიტექტურის ნიმუშები)	შოთა მამულაძე	სსიპ-შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

**დაფინანსებული პროექტების სრული ბიუჯეტი შეადგენს 1 058,000 ლარს.**



პროექტი - „*ხუროთმოძღვრები და მშენებელი ოსტატები შუა საუკუნეების საქართველოში*“, ა. ბ. ბანგთის ეკლესია, ბ. ოშკის ტაძარი, ჩრდილო-აღმოსავლეთი, აფრატროში, გ. ბანგთის მონასტრის წმ. გიორგის ეკლესია

**საკონფერენციო გრანტების კონკურსი**

**შოთა რუსთაველის სამეცნიერო ეროვნულმა ფონდმა 2011 წელს ორჯერ გამოაცხადა საკონფერენციო გრანტების კონკურსი.**

საკონფერენციო გრანტების 2-ვე კონკურსი მიზანად ისახავდა საქართველოში ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, კონგრესების, ფორუმების, სიმპოზიუმებისა და სემინარების ჩატარებას; ინფორმაციის გაცვლასა და გამოცდილების გაზიარებას.

2011 წლის 22 მარტს გამოაცხადებულ საკონფერენციო კონკურსში სხვადასხვა იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ დარეგისტრირდა 68 განაცხადი. 2011 წლის 11 მაისს საკონკურსო კომისიამ ხუთი საპროექტო განაცხადი მოხსნა კონკურსიდან, ხოლო დარჩენილი 63 შეაფასა საქართველოს მთავრობის 2008 წლის 9 ივლისის N149 დადგენილებით დამტკიცებული კრიტერიუმების მიხედვით და შეადგინა პროექტების რანჟირებული სია, რომელიც სამეცნიერო საბჭოს მე-4 სხდომაზე დამტკიცდა. **სულ დაფინანსდა 9 პროექტი.**



2011 წლის 14-15 ივლისს ქ. ბათუმში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები: პრობლემები და გამოწვევები“, სამეცნიერო ხელმძღვანელი - კახა გაბუნია.




2011 წლის 9-14 სექტემბერს, ქ. თბილისში, ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „უწყვეტ გარემოთა მექანიკა და ანალიზის მონათესავე საკითხები“, სამეცნიერო ხელმძღვანელი - როლანდ დუდუჩავა.



2011 წლის 20-24 სექტემბერს, ქ. თბილისში, ხელაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „უცხოეთის ქართული მემკვიდრეობა“, სამეცნიერო ხელმძღვანელი - ზუბა კუდავა.



2011 წლის 26-30 სექტემბერს, ქ. თბილისში, ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „კვანტური ველებისა და სიმის თეორიის თანამედროვე მიღწევები, სამეცნიერო ხელმძღვანელი - გიორგი ჯორჯაძე.



2011 წლის 26-27 სექტემბერს, ქ. თბილისში, გაიმართა II საერთაშორისო კონფერენცია ორგანულ ქიმიაში - "ჰეტეროციკლურ ნაერთთა ქიმიის მიღწევები(GeoHet -2011)", სამეცნიერო ხელმძღვანელი - შოთა სამსონია



2011 წლის 26-28 სექტემბერს, ქ. ბათუმში, ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „გინეკოლოგიური და ძუძუს პათოლოგია“ სამეცნიერო ხელმძღვანელი - იოსებ ყურელი.



2011 წლის 26-30 სექტემბერს, ქ. თბილისში, გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „კვანტური ველებისა და სიმის თეორიის თანამედროვე მიღწევები“, სამეცნიერო ხელმძღვანელი - გიორგი ჯორჯაძე.



2011 წლის 29 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე ქ. თბილისში, გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრში, ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „ფიგურა და ორნამენტი: ესთეტიკა, ხელოვნება და არქიტექტურა კავკასიის რეგიონში, 400-1650 წლები“, სამეცნიერო ხელმძღვანელი დავით ხოშტარია.



2011 წლის 27-28 ოქტომბერს, ქ. თბილისში, გაიმართა „იშვიათი დაავადებების და “ობოლი” წამლების მე-2 სამხრეთ კავკასიის კონფერენცია“, სამეცნიერო ხელმძღვანელი - ოლეგ ქვლივიძე.



2011 წლის 27-29 ოქტომბერს, ქ. თბილისში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „კვლევის ფიზიკური მეთოდები მედიცინაში“, სამეცნიერო ხელმძღვანელი - რაფიელ ჩიქოვანი.

2011 წლის 19 ივლისს ფონდმა, ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით, დამატებით გამოაცხადა თემატური საკონფერენციო კონკურსი.

2011 წლის 8 სექტემბერის ფონდის საბჭოს რიგით მეექვსე სხდომაზე დასაფინანსებლად დამტკიცდა პროექტი სახელწოდებით - „ვაჟა-ფშაველა 150, მითოლოგიური აზროვნება, ფოლკლორი და ლიტერატურული დისკურსი. ევროპული და კავკასიური გამოცდილება“ (ხელმძღვანელი ირმა რატანი).



აღნიშნული ღონისძიება მიმდინარე წლის 28 სექტემბერს გაიხსნა. ქართველ მეცნიერებთან ერთად სიმპოზიუმში მსოფლიოს 18 ქვეყნის 60-მდე ცნობილი უცხოელი მკვლევარი და საზღვარგარეთ მოღვაწე თანამემამულე ქართველოლოგი მონაწილეობდნენ. სიმპოზიუმი 4 დღე გაგრძელდება და ჩარგალში, ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმში საზეიმოდ დაიხურა.



**დაფინანსებული 10-ვე პროექტის სრული ბიუჯეტი შეადგენს 240 000 ლარს;**



## ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლა

2011 წლის 31 მაისს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდმა გამოცხადა „ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის“ რიგით მესამე საგრანტო კონკურსი, რომლიც მიზანად ისახავდა საერთაშორისო საზაფხულო სკოლების ორგანიზებას, არსებულ საზაფხულო სკოლათა ფუნქციონირების ხელშეწყობას, ქართული კულტურისა და მეცნიერების საერთაშორისო ასპარეზზე გატანას, ქართველოლოგიის სხვადასხვა დარგით დაინტერესებულ უცხოელ სტუდენტთა და მეცნიერთა მოზიდვას.

დაფინანსდა ორი პროექტი:

- „ქართველოლოგიის საერთაშორისო საზაფხულო სკოლა 2011“ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე – პროფესორ ელგუჯა ხინთიბიძის ხელმძღვანელობით.
- „ქართული დამწერლობა“ – ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში – პროფესორ ბუბა კუდავას ხელმძღვანელობით.

**პროექტი „ქართველოლოგიის საერთაშორისო საზაფხულო სკოლა 2011“ მიმდინარეობდა 2011 წლის 9 ივლისიდან 31 აგვისტომდე.** ქართველოლოგიური მეცნიერებებით დაინტერესებული უცხოელი სტუდენტები სხვადასხვა ქვეყნიდან - ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ირლანდიიდან, პოლონეთიდან, თურქეთიდან და რუსეთიდან 6 კვირის განმავლობაში ცხოვრობდნენ ქართულ გარემოში. მათ შეისწავლეს ქართული ენა, გაეცნენ ძველ და თანამედროვე ქართულ კულტურას, საქართველოს მეცნიერულ, საგანმანათლებლო და სოციალურ მიღწევებს. დაათვალიერეს საქართველოს კუთხეები და ღირსშესანიშნაობები.



პროექტი „ქართველოლოგიის საერთაშორისო საზაფხულო სკოლა 2011“

პროექტი „ქართული დამწერლობა“ მიმდინარეობდა 2011 წლის 5 სექტემბრიდან 15 სექტემბრამდე. საზაფხულო სკოლაში „ქართული დამწერლობა“ მონაწილეობდა 14 უცხოელი სტუდენტი. აკადემიური პროგრამის ფარგლებში საანგარიშო



პერიოდში ჩატარდა 18 ლექცია 5 სასწავლო მოდულის მიხედვით, პრაქტიკული წერის 6 მეცადინეობა, წინა დღის მასალის აქტუალიზაცია. განხორციელდა სკოლის სტუდენტთა პრეზენტაციები.



სკოლის მსმენელებისათვის განხორციელდა ექსკურსიების ციკლი, გამოფენები და ვორქშოფი, რომელიც თემატურად დაკავშირებული იყო სკოლის პროგრამასთან. 9 ექსკურსიის ფარგლებში მსმენელებმა დაათვალიერეს 20-ზე მეტი ისტორიული ძეგლი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის რესტავრაცია-კონსერვაციისა და დიגיტიზაციის ლაბორატორიები.



**საზაფხულო სკოლის დასრულების შემდეგ სკოლის მსმენელებს გადაეცათ სერთიფიკატი.**

სერთიფიკატის გაცემის საფუძველი იყო მსმენელის დადებითი შეფასება. შეფასება ორი კომპონენტის მიხედვით განხორციელდა. შეფასების კრიტერიუმების შემუშავება მოხდა მსმენელებთან თანამშრომლობით.

**ეს კომპონენტები იყო:**

1. ჩართულობა (გამოხმაურება მეცადინეობების მსვლელობისას, წერითი და ზეპირი რეფლექსია);
2. პრეზენტაცია (ყველა მონაწილემ წარმოადგინა საკუთარი კვლევების/საქმიანობის შედეგები).



*პროექტი - "ქართული დამწერლობა"*

**დაფინანსებული პროექტების სრული ბიუჯეტი შეადგენს 55000 ლარს.**

## ქართული საბავშვო ფოლკლორის კონკურსი

2011 წლის 4 ნოემბერს შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა გამოაცხადა სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი - „ქართული საბავშვო ფოლკლორი“, რომლის მიზანი იყო, საგრანტო დაფინანსების მეშვეობით, ხელი შესწყობოდა ქართული ფოლკლორული თქმულებების, ეპოსის, ზღაპრების მეცნიერულ შესწავლასა და სისტემატიზაციას, ასევე თანამედროვე საბავშვო ლიტერატურის კვლევას; კვლევის შედეგების პოპულარიზაციას.

კონკურსი ითვალისწინებდა ისეთი ზღაპრების მოძიებასა და შეკრებას, რომლებიც დაფუძნებულია სიკეთეზე, უფროსების პატივისცემაზე, სამშობლოს, მშობლების, და-ძმის, მეგობრების სიყვარულზე, სწავლისა და შრომისმოყვარეობაზე, მოკლებულია ძალადობისა და აგრესიულობის მაგალითებს და თავისი შინაარსით დადებით ემოციებს აღძრავს მკითხველში.

შეკრებილი მასალა გამიზნული უნდა ყოფილიყო საგანმანათლებლო პროცესში გამოსაყენებლად.


ფონდში 5 საპროექტო წინადადება შემოვიდა. საკონკურსო კომისიამ განიხილა თითოეული მათგანი და დასაფინანსებლად 1 პროექტი - „ქართული საბავშვო ფოლკლორი“ შეარჩია (სამეცნიერო ხელმძღვანელი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი - რუსუდან ჩოლოყაშვილი). 2011 წლის 28 დეკემბერს ფონდის სამეცნიერო საბჭომ დაამტკიცა დაფინანსებლად შერჩეული პროექტი.

**დაფინანსებული პროექტის ბიუჯეტი შეადგენს 6 500 ლარს.**



## ქართული ეროვნული სამოსის კვლევის კონკურსი

2011 წლის 1 ივნისს, ქართული ტრადიციული ეროვნული სამოსის მეცნიერულად შესწავლის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ კოკა სეფერთელაძემ და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა სულხან სისაურმა ეთნოგრაფიულ მუზეუმში კონკურსი გამოაცხადეს.



კვლევის მიზანი ტრადიციული ეროვნული სამოსის ისტორიული, ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული, სოციალური, სამეურნეო და სხვა ასპექტების კვლევის ხელშეწყობა იყო, და რაც მთავარია, ქართველოლოგიური კვლევების დაფინანსებაში ბიზნეს-სტრუქტურების მონაწილეობის სტიმულირება.

**საკონკურსოდ წარმოდგენილი კვლევის ხანგრძლივობა განისაზღვრა 18 თვით, ხოლო ბიუჯეტი არ უნდა აღმატებოდა 70 ათას ლარს.**

ფონდში დარეგისტრირდა 3 განაცხადი, რომელთაგან საკონკურსო კომისიამ დასაფინანსებლად ერთი მათგანი შეარჩია - **”ქართული ეროვნული სამოსი”, რომელიც** საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა/შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმმა და ორგანიზაცია შ.პ.ს. ”სამოსელმა პირველმა” ერთობლივად წარმოადგინეს (პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი - იზოლდა მელიქიშვილი; საბაზო ორგანიზაციის ხელმძღვანელი - დავით ლორთქიფანიძე; თანადამფინანსებელი შ.პ.ს. ”სამოსელი პირველი”).



პროექტი - "ქართული ეროვნული სამოსი"

საგრანტო კონკურსის მოთხოვნიდან გამომდინარე, პროექტს შედეგად უნდა მოჰყვეს ქართული ეროვნული სამოსის შესახებ მეცნიერულად დამუშავებული ილუსტრირებული ენციკლოპედიური სახის ქართულ-ინგლისური გამოცემა-ცნობარის დაბეჭდვა და თანდართული ვიზუალური თვალსაჩინოების ცნობარის მომზადება, რომელიც ინფორმაციული იქნება როგორც საკითხით დაინტერესებული სპეციალისტებისათვის, ასევე - ფართო საზოგადოებისათვის.

**დაფინანსებული პროექტის ბიუჯეტი შეადგენს 70 000 ლარს;**

## მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი

შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა 2011 წლის 16 თებერვალს გამოაცხადა 2011 წლის კონკურსი მოკლევადიანი ინდივიდუალურ სამოგზაურო გრანტებზე სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად.

მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტების კონკურსი მიზნად ისახავდა საქართველოს სამეცნიერო წრისათვის საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობას, ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების შედეგად ადგილობრივი სამეცნიერო პოტენციალის ამაღლებასა და გამლიერებას, საქართველოს მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო სფეროში ინტეგრაციას.

**ისევე როგორც წინა წლებში, წელსაც მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტების კონკურსი ფონდმა 4-ჯერ გამოაცხადა. კონკურსში მონაწილეობის მსურველებს ფონდში საბუთები უნდა წარედგინათ:**

- ა) 2011 წლის მაის-ივნისში დაგეგმილი ღონისძიებებისთვის – არა უგვიანეს 2011 წლის 21 მარტისა;
- ბ) 2011 წლის ივლის-აგვისტოში დაგეგმილი ღონისძიებებისთვის – არა უგვიანეს 2011 წლის 20 მაისისა;
- გ) 2011 წლის სექტემბერ-ოქტომბერში დაგეგმილი ღონისძიებებისთვის – არა უგვიანეს 2011 წლის 20 ივლისისა;
- დ) 2011 წლის ნოემბერ-დეკემბერში დაგეგმილი ღონისძიებებისთვის – არა უგვიანეს 2011 წლის 20 სექტემბრისა.

კონკურსში მონაწილეობდნენ სხვადასხვა სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქეები, ახალგაზრდა მეცნიერები და დოქტორანტები.

სულ ფონდში დარეგისტრირდა 220 განაცხადი, 40 ქვეყანაში დაგეგმილ სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობის მისაღებად.

შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა დააფინანსა წარმოდგენილი განაცხადების 38,18%, სულ 84 მეცნიერი.



ქართველ მეცნიერებს საშუალება მიეცათ, მონაწილეობა მიეღონ 35 ქვეყანაში დაგეგმილ სამეცნიერო ფორუმში.



**დაფინანსებული პროექტების ბიუჯეტი შეადგენს 271 000 ლარს.**

## **ახალგაზრდა მეცნიერებთა ხელშეწყობის პროგრამები**

### **უცხოეთში ახალგაზრდა მეცნიერთა სტაჟირების საგრანტო კონკურსი**

2011 წლის 1 აგვისტოს შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა გამოაცხადა „ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების“ რიგით მესამე კონკურსი, რომელიც მიზნად ისახავდა დამოუკიდებელ ექსპერტთა შეფასების საფუძველზე ახალგაზრდა მეცნიერთა შერჩევას და დაფინანსებას, 3 თვის მანძილზე ახალგაზრდა მეცნიერთა სტაჟირებით მივლინებას უცხოეთის წამყვან სამეცნიერო ცენტრებში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების, საერთაშორისო სამეცნიერო კონტაქტების დამყარებისა და გამოცდილების შექმნისათვის. კონკურსი გამოცხადდა 10 სამეცნიერო მიმართულებით.

გრანტის ფარგლებში ახალგაზრდა მეცნიერებს უნაზღაურდებოდათ: საერთაშორისო მგზავრობა, დაზღვევა, ვიზა, საცხოვრებელი ბინა, შიდა ტრანსპორტირება და კვების ხარჯები.

კონკურსში დარეგისტრირებული 29 განაცხადიდან დაფინანსება მიიღო 28 ახალგაზრდა მეცნიერმა.

**დაფინანსებული პროექტების ბიუჯეტი შეადგენს 266 000 ლარს.**

## **სახელმწიფო გრანტების კონკურსი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების თანახელმძღვანელობისათვის**

2011 წლის 16 ივნისს შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა გამოაცხადა სახელმწიფო გრანტების ახალი კონკურსი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების თანახელმძღვანელობისათვის, რომელიც მიზნად ისახავდა ახალგაზრდა მეცნიერების, დოქტორანტების საერთაშორისო კვლევით პროექტებში ინტეგრაციის ხელშეწყობას უცხოეთში მოღვაწე წარმატებულ თანამემამულე მეცნიერთა ჩართულობის მეშვეობით.

კონკურსმა შესაძლებელი გახადა საზღვარგარეთ მოღვაწე ქართული სამეცნიერო პოტენციალის გამოყენება საქართველოს ახალგაზრდა მკვლევართა პროფესიული განვითარებისთვის. ამასთანავე, გრანტმა საშუალება მისცა თანამემამულე წარმატებულ მეცნიერებს, მუდმივი საქმიანი კონტაქტი ჰქონოდათ სამშობლოსთან და აქტიური მონაწილეობა მიეღოთ საქართველოს სამეცნიერო საქმიანობის დონის ამაღლებაში.

საგრანტო პროექტის აუცილებელი მოთხოვნა იყო – დოქტორანტისთვის პროგრამის თანახელმძღვანელობა გაეწია უცხოეთში მოღვაწე შესაბამისი სამეცნიერო ხარისხის მქონე თანამემამულეს, საქართველოდან ემიგრირებულ პირს ან მის შთამომავალს.

ფონდი დააფინანსებდა როგორც უცხოეთში მოღვაწე ქართველი თანახელმძღვანელის საქართველოში მივლინებების, ასევე - დოქტორანტის ვიზიტებს თემის თანახელმძღვანელის კვლევით დაწესებულებაში.

პროექტის ხანგრძლივობა განისაზღვრა 2 წლის ვადით. ფონდიდან მოთხოვნილი წლიური საგრანტო დაფინანსება არ უნდა აღმატებოდა 15 000 ლარს.

**კონკურსი ორ ეტაპად ჩატარდა:**

2011 წლის 27 დეკემბერს გაიმართა სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს რიგით მეათე სხდომა, რომელზეც მოკლე პრეზენტაციებით წარსდგენენ "დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების თანახელმძღვანელობის კონკურსის" შეფასების მეორე საფეხურზე გასული კონკურსანტები.

№	სახელი, გვარი	პროექტის სახელწოდება	სამეცნიერო მიმართულება
1	ნიკოლოზ ლომთაძე	"პერმენეტიკული ინტერპრეტაციის როლი მხატვრული ტექსტის თარგმნის პროცესში"	ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები, ეკონომიკური მეცნიერებები
2	თინათინ ბუთხუზი	"მოლეკულათაშორის ურთიერთქმედებების შესწავლა წყალი -ზეთში მიკროემულსიებში"	ფიზიკური და ქიმიური მეცნიერებები/ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
3	ფრიდონი ალშიბაია	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების თანახელმძღვანელობისთვის სახელმწიფო გრანტების კონკურსის პროექტი	მათემატიკური მეცნიერებები/ მათემატიკა, მექანიკა

**დაფინანსებული პროექტების ბიუჯეტი შეადგენს 68 000 ლარს.**

## კონკურსები და ოლიმპიადები მოსწავლეთათვის

### მოსწავლე-გამომგონებელთა კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“

საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებული მოსწავლე-გამომგონებელთა კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ პირველად 2011 წელს გაიმართა. კონკურსი მიზნად ისახავდა, ხელი შეეწყო სწავლის დონის ამაღლებისთვის, ინოვაციებისა და ტექნიკური პროგრესის მიმართ მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებისთვის, გამომგონებლის ნიჭით დაჯილდოებული მოზარდების გამოვლენა-წახალისებისთვის, მათი შემოქმედებითი აზროვნების სტიმულირებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისთვის.



კონკურსის პოპულარიზაციის მიზნით, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ორგანიზებით, საქართველოს ყველა რეგიონის სკოლებში ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა საჯარო ლექციები. მასში სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულების 50-მდე მეცნიერი, მათ შორის ბევრი ახალგაზრდა მკვლევარი მონაწილეობდა. ლექციები ძირითადად აინშტაინის პროგრამის ფარგლებში აღჭურვილ ლაბორატორიებში ჩატარდა და მოიცავდა როგორც თეორიულ, ასევე - პრაქტიკულ ნაწილს.

კონკურსი პირველად 2011 წლის გაზაფხულზე ჩატარდა. მასში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების VII-XII მოსწავლეებს როგორც ინდივიდუალურად, ასევე - ჯგუფურად, ორ ასაკობრივ კატეგორიაში.

აღსანიშნავია, რომ კონკურსში საქართველოს ყველა რეგიონის სკოლა ჩაერთო. ფონდის ელექტრონულ ბაზაში დარეგისტრირებული 407 განაცხადიდან, ორ ასაკობრივ კატეგორიაში, გამოვლინდა 7 გამარჯვებული პროექტი.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, გრანპრი პროექტისთვის - „რობოტი მზესუმზირა“ კომაროვის ფიზიკა-მათემატიკური სკოლის მოსწავლეებს დავით ბულისკერიას და ლევან გაბისონიას გადაეცათ. ისინი 2011 წლის ივლისში ნოტინგჰემში 4-კვირიანი სასწავლო ტურით გაემგზავრნენ.

X-XII კლასების ასაკობრივ კატეგორიაში პირველი ადგილითა და 5 000 ლარით პროექტის - "საგანგაშო დილაკი" (ავტორი დიმიტრი კოლოტაური, სოფელ დიდმის სკოლა), მეორე ადგილითა და 3 000 ლარით პროექტის - "ზამზარინი რეოსტატი" ავტორი, ლაშა ხუციშვილი (ახალციხის N5 საჯარო სკოლა) და მესამე ადგილითა და 2 000 ლარით პროექტის - "მომრაობის მაგნიტური გამამლოერებელი" ავტორი ლაშა ჩალაძე (სოფ. აფენის N1 საჯარო სკოლა) დაჯილდოვდნენ.

VII-IX კლასების ასაკობრივ კატეგორიაში საპრიზო ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა: პირველი ადგილი და 5 000 ლარი გადაეცა პროექტს - "სახლის სეისმოგრაფი", ავტორი გიორგი მეშველიანი (კომაროვის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა), მეორე ადგილი და 3 000 ლარი პროექტს - "მწვანე უცხოპლანეტელი - 25", ავტორი თემურ ჩიჩუა (N4 საჯარო სკოლა), მესამე ადგილი და 2 000 ლარი პროექტს - "წიგნი: რა ვაკეთოთ თავისუფალ დროს", ავტორი ლუკა მარკოზაშვილი (N31 საჯარო სკოლა). გრანპრისა და პირველ ადგილებზე გასული პროექტების წარმომდგენი სკოლები დასაჩუქრდნენ ინტერაქტიული დაფებით (smartboard). კონკურსში მონაწილე ყველა პროექტის ავტორს გადაეცათ დიპლომები.

2011 წლის გაზაფხულზე გამართულმა კონკურსმა დიდი ინტერესი და გამოხმაურება მოიპოვა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ - ჩვენს მეზობელ ქვეყნებში. შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა 2011 წლის შემოდგომაზე მეორედ გამოაცხადა კონკურსი. თუმცა, ამჯერად იგი გასცდა საქართველოს ფარგლებს და საერთაშორისო მასშტაბი მიიღო. კონკურსში საქართველოს მოსწავლეებთან ერთად სხვა ქვეყნების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების 18 წლამდე ასაკის მოზარდებიც ჩაერთვნენ.

ნამუშევრები წარმოდგენილი იყო ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მიმართულებებით, ასევე, სასოფლო-სამეურნეო, ენერგეტიკისა და საინჟინრო სფეროებში. მათგან ყველაზე საინტერესო და ინოვაციური პროექტები პავილიონში გამოიფინა.

კონკურსის შედეგად გამოვლინდა 4 საუკეთესო და 10-მდე სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული პროექტის ავტორი. გამოფენის ყველა მონაწილე კი, პორტატული კომპიუტერით დაჯილდოვდა. გრანპრის მფლობელი გახდა სოსო მამუკაშვილი გამოგონებისათვის - "გონიერი მზის ენერჯის მიმღები წყარო". იგი სასწავლო-შემეცნებითი ტურით ინგლისში 2012 წლის ზაფხულში გაემგზავრება. პირველ ადგილზე გასულ ქართულ-უკრაინული პროექტის ავტორებს, გიორგი პოპოვსა და ბოგდან ეგიკოვს 5 000 ლარი გადაეცათ, მეორე ადგილზე გავიდნენ და 3 000 ლარი გადაეცათ პროექტის - "ჭკვიანი ფანჯარა" ავტორებს: ავთანდილ ციციშვილს, ლაშა აბაშიძესა და რევაზ ჭანიძეს, ხოლო მესამე ადგილზე გავიდა და 2 000 ლარი ერგო მოდლოველ ვერონიკა კაზაკს. ასევე, გამოვლინდნენ სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული პროექტების ავტორებიც. გამოფენის ყველა მონაწილე კი, პორტატული კომპიუტერითა და დიპლომებით დაჯილდოვდა.

## სასწავლო-შემეცნებითი კომპიუტერული პროგრამების საგრანტო კონკურსი

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2011 წელს გამოცხადებული სასწავლო-შემეცნებითი კომპიუტერული პროგრამების საგრანტო კონკურსის მიზანი იყო სკოლების კომპიუტერიზაციისა და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვის პროცესში სასწავლო-შემეცნებითი კომპიუტერული პროგრამების შექმნა-დანერგვა, უკვე არსებული კომპიუტერული პროგრამების სახელმწიფო ენაზე თარგმნა, ამასთანავე, სახელმწიფო ენაზე ახალი კომპიუტერული პროგრამების შექმნა.

კონკურსის შედეგად უნდა შექმნილიყო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისი კომპიუტერული პროგრამა, რომელიც სრული ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეს დაეხმარებოდა სასწავლო პროგრამის უკეთ ათვისებაში, საპროგრამო მასალისადმი ინტერესის გაღვივებაში, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარების განვითარებაში.

კომპიუტერული პროგრამა დასაფინანსებლად შეირჩა შემდეგი თემატური მიმართულებებით: მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, ეკოლოგია, ისტორია, გეოგრაფია, ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენები.

დასაფინანსებლად შერჩეულ საგრანტო პროექტებზე გასაცემი გრანტების ჯამური ოდენობა უნდა ყოფილიყო არაუმეტეს 100 000 ლარისა.

## ოლიმპიადები



საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებულ ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადას, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებათა მოსწავლეებს შორის ტარდება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო რამდენიმე წელია წარმატებით ახორციელებს.

2011 წელს რიგით მესამე საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების შერჩევის, მომზადებისა და მონაწილეობის ადმინისტრირება განახორციელა შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა. 2011 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებზე საქართველომ წარადგინა დელეგაცია შემდეგ დისციპლინებში: ფიზიკა, მათემატიკა, ინფორმატიკა და ბიოლოგია.

ა) ფიზიკაში საქართველოს ნაკრები გუნდი წარსდგა ფიზიკის 42-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე, IPHO 2011 (ტაილანდი, ქ. ბანგკოკი, 10–18 ივლისი), გუნდის წევრთა რაოდენობა - 5 მოსწავლე;

ბ) მათემატიკაში საქართველოს ნაკრები გუნდი წარსდგა მათემატიკის 52-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე IMO 2011 (ნიდერლანდები, ქ. ამსტერდამი, 16–24 ივლისი), გუნდის წევრთა რაოდენობა - 6 მოსწავლე;

გ) ინფორმატიკაში საქართველოს ნაკრები გუნდი წარსდგა ინფორმატიკის 23-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე IOI 2011 (ტაილანდი, ქ. პატაია, 22–29 ივლისი) გუნდის წევრთა რაოდენობა - 4 მოსწავლე;

დ) ბიოლოგიაში საქართველოს ნაკრები გუნდი წარსდგა ბიოლოგიის 22-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე IBO 2011 (ტაივანი, ქ. ტაიპეი, 10–17 ივლისი) გუნდის წევრთა რაოდენობა - 4 მოსწავლე;

ფონდმა, გამოცდების ეროვნულ ცენტრსა და მწვრთვებლებთან ერთად, ეროვნული ოლიმპიადის დასკვნითი ტურის შედეგების მიხედვით თითოეული გუნდისათვის (საგანში) შეარჩია საუკეთესო შედეგების მქონე 10-დან - 15-მდე მოსწავლე. მათთვის 2011 წლის 17 აპრილიდან 1 მაისის ჩათვლით საქართველოს ნაკრების წევრთა შესარჩევი ტურები გაიმართა ქ. თბილისის N51-ე საჯარო სკოლასა და დემირელის სახ. კერძო კოლეჯში.

2011 წლის ივლისში საერთაშორისო ოლიმპიადების ნაკრები გუნდების შემადგენლობები ეტაპობრივად გაემგზავრნენ საერთაშორისო ოლიმპიადებზე. შედეგად ნაკრებმა გუნდებმა მიიღეს შემდეგი ჯილდოები:

**ფიზიკის საერთაშორისო ოლიმპიადაზე მონაწილეობის 16-წლიანი ისტორიის მანძილზე საქართველოს გუნდის ხუთივე წევრმა მესამედ შეძლო ჯილდოს მოპოვება :**

- გრიგოლ ფერაძე - ბრინჯაოს მედალი;
- გურამ ქართველიშვილი - ბრინჯაოს მედალი;
- თორნიკე ღუტიშვილი - საპატიო სიგელი;
- საბა ხარაბაძე - საპატიო სიგელი;
- გიორგი კობახიძე - საპატიო სიგელი;
  
- **მათემატიკის გუნდში დაჯილდოვდა ნაკრების ოთხი წევრი:**
- გიორგი გიგლეშიანი - ბრინჯაოს მედალი;
- აკაკი მარგველაშვილი - ბრინჯაოს მედალი;
- გიგა გუმბერიძე - საპატიო სიგელი;
- გელა მაღალთაძე - საპატიო სიგელი;
  
- **ინფორმატიკის გუნდში დაჯილდოვდა ნაკრების ერთი წევრი:**
- ცოტნე ტაბიძე - ბრინჯაოს მედალი;
  
- ბიოლოგიის ნაკრები გუნდისათვის საერთაშორისო ოლიმპიადაზე საქართველოს სახელით წელს პირველად გამგზავრება წარუმატებლად დასრულდა.



## საერთაშორისო თანამშრომლობა

ფონდის საერთაშორისო საქმიანობა ხორციელდება ძირითადად 3 მიმართულებით:

- I. ერთობლივი საერთაშორისო საგრანტო პროგრამების ორგანიზება
- II. მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებში
- III. საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება და ხელშეწყობა

### I ერთობლივი საერთაშორისო საგრანტო პროგრამების ორგანიზება

საგრანტო პროგრამები ხორციელდება ფონდის და მისი უცხოელი პარტნიორი ორგანიზაციების თანადაფინანსებით. 2006-2011 წწ. ერთობლივი საპარტნიორო პროგრამების ფარგლებში საქართველოს მეცნიერთა დაფინანსებისათვის გამოიყო 2,3 მილიონი აშშ დოლარი (ფონდმა გაიღო 2,1 მილიონი აშშ დოლარი).

ერთობლივი საერთაშორისო საგრანტო პროგრამებია:

1. სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდისა და უკრაინის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრის (STCU) მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსი.

*პარტნიორი - მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრი უკრაინაში (STCU).*

**თემატური პრიორიტეტები 2011 წელს:**

- ა) ბიოტექნოლოგიები და სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები; ბ) ნანობიოტექნოლოგიები და ახალი მასალები;
- გ) საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

2011 წლის ერთობლივ კონკურსზე დაშვებული იყო 40 საპროექტო წინადადება. მიმდინარე წლის ივნისში STCU-ს მმართველთა საბჭოს სხდომაზე გამოცხადდება კონკურსის გამარჯვებული ორ წლამდე ხანგრძლიობის 10 პროექტი, **ბიუჯეტით - 70 000 აშშ დოლარამდე.**

**2.** აშშ-ის სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF - Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) "მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამეწარმეო პროგრამის (STEP) - ბიზნეს-პარტნიორობის (BPG) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსი. *პარტნიორი - სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდი (CRDF).*

**თემატური პრიორიტეტები 2011 წელს:**

- ა) საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; ბ) ბიოტექნოლოგიები; გ) აგრარული მეცნიერებები; დ) ადგილობრივი ნარჩენი მასალებიდან ახალი მასალების წარმოება.

2011 წლის ერთობლივ კონკურსზე დაშვებული იყო 30 საპროექტო წინადადება. ვენჩურულ კონფერენციაზე ქართველ და ამერიკელ ექსპერტთაგან შემდგარი კომისიის გადაწყვეტილებით დაფინანსდა ერთი წლის ხანგრძლიობის 3 პროექტი, ბიუჯეტით: 50 ათასი ლარი (ფონდი) + 5 ათასი აშშ დოლარი (CRDF) + 10% პარტნიორი საწარმოსგან.

**3.** საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრისა და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსი.

*პარტნიორი - საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრი (CNRS).*

**თემატური პრიორიტეტები 2011 წელს:**

- ა) მათემატიკა და მექანიკა; ბ) ფიზიკა; გ) სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები.

2011 წლის ერთობლივ კონკურსზე დაშვებული იყო 8 საპროექტო წინადადება. ექსპერტთა გადაწყვეტილებით დაფინანსდა ორი წლის ხანგრძლიობის 3 პროექტი, ბიუჯეტით - 26 ათასი ევრო. ფონდი აფინანსებს მხოლოდ ქართველ მეცნიერთა ჯგუფს (20 ათასი ევრო).

**4.** ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსი - საერთაშორისო კვლევითი ჯგუფის - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამხრეთ კავკასიაში - შემადგენლობაში ქართველ მეცნიერთა ჩართვა. (გამოცხადდა 2010-09-27 წელს).

*პარტნიორი - საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრი (CNRS).*

**თემატური პრიორიტეტი - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები.**

2011 წლის ერთობლივ კონკურსზე დაშვებული 2 საპროექტო წინადადებაიდან დაფინანსდა ოთხწლიანი 1 პროექტი, რომელშიც ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ უნივერსიტეტებთან ერთად მონაწილეობას იღებდა საფრანგეთის 5 უნივერსიტეტი. ყოველი მონაწილე ქვეყანა აფინანსებს მხოლოდ საკუთარ მეცნიერთა ჯგუფს. ფონდის მიერ ქართველ მკვლევართათვის 2011 წლიდან გამოიყოფა წელიწადში საშუალოდ 20 ათასი ევრო.

**5.** სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების სამეცნიერო საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსი.

*პარტნიორი - იტალიის კვლევების ეროვნული საბჭო (CNR).*

2011 წლის ერთობლივ კონკურსზე დაშვებული იყო 10 საპროექტო წინადადება. ფონდის ექსპერტთა კომისიისა და იტალიის მხარის მიერ დასაფინანსებლად შეირჩა ორი წლის ხანგრძლიობის 5 პროექტი, ბიუჯეტით - 9 ათასი ევრო. ფონდი აფინანსებს მხოლოდ ქართველ მეცნიერთა ჯგუფს (3 ათასი ევრო).

## II. მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებში

2011 წლის განმავლობაში ფონდი ჩართული იყო ევროკავშირის კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების მე-7 ჩარჩო პროგრამის (FP7) ფარგლებში მიმდინარე 4 პროექტში.

➤ *“შავი ზღვის რეგიონში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში კავშირების დამყარება” (BS-ERA.NET) 2009-2012.* ფონდმა მთლიანობაში გრანტის სახით უნდა მიიღოს 63 621 ევრო .

**პროექტის მიზანი:** შავი ზღვის აუზის ქვეყნების სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის ამაღლება. **ძირითადი ამოცანები:** 1) ერთობლივი კონკურსების ორგანიზება; 2) რეგიონის სამეცნიერო პროგრამის მომზადება; 3) რეგიონის ქვეყნების სამეცნიერო-ტექნიკური ბაზის საერთო ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა. პროექტში მონაწილეობს 12 ქვეყნის (მათ შორის ევროკავშირის 5 წევრი სახელმწიფოს) 17 ორგანიზაცია.

2011 წელს ჩატარდა შავი ზღვის საპილოტე კონკურსი (Pilot Joint Call) ორ სამეცნიერო სფეროში: ენერგეტიკა და გარემოს დაცვა. დაფინანსდა 11 პროექტი, მათგან 4 - ქართველ მკვლევართა მონაწილეობით, რომლებიც ევროკავშირის ბიუჯეტიდან მიიღებენ 35 000 ევროს, ხოლო ფონდიდან - 179 000 ევროს.

➤ *“აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელი მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში” (IncoNet EECA) 2008-2012.* ფონდმა მთლიანობაში გრანტის სახით უნდა მიიღოს 77 968 ევრო .

**პროექტის მიზანი:** აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების (EECA) ევროპის კვლევით სივრცეში ინტეგრირების ხელშეწყობა. **ძირითადი ამოცანები:** 1) EECA-სა და ევროკავშირის შორის სამეცნიერო თანამშრომლობის ჩარჩოების დადგენა და მისი გაძლიერებისთვის არსებული შესაძლებლობების ეფექტური გამოყენება.

პროექტში მონაწილეობს 21 ქვეყნის (მათ შორის ევროკავშირის 10 წევრი სახელმწიფოს) 23 ორგანიზაცია.

2011 წელს ფონდის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ: საერთაშორისო კონფერენციაში - “ინოვაციის ხელშეწყობა შავი ზღვის რეგიონში და მის გარეთ” (ათენი), “მეცნიერების პოლიტიკით დაინტერესებულ პირთა საერთაშორისო კონფერენციაში” (ვარშავა), პროექტის გენერალური ასამბლეის და მენეჯმენტის საბჭოს სხდომებში (ბუქარესტი).

➤ *“ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელი მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში” (IncoNet CA/SC). 2010-2012.* ფონდმა მთლიანობაში გრანტის სახით უნდა მიიღოს 47 080 ევრო .

**პროექტის მიზანი:** სამეცნიერო თანამშრომლობის გაძლიერება ევროკავშირისა, ცენტრალური აზიის და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის. **ძირითადი ამოცანები:** 1) სამეცნიერო თანამშრომლობისათვის პრიორიტეტული სფეროების დადგენა; 2) საინოვაციო საქმიანობის მხარდაჭერა და მცირე/საშუალო სიმძლავრის საწარმოების მეცნიერებასთან კოოპერირების წახალისება. პროექტში მონაწილეობს 9 ქვეყნის (მათ შორის ევროკავშირის 5 წევრი სახელმწიფოს) 31 ორგანიზაცია.

ფონდის მიერ ორგანიზებული იყო პროექტის კოორდინატორის და თანმხლები ევროპელი ექსპერტების შეხვედრები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ფონდის ხელმძღვანელობასთან, თბილისის წამყვან უნივერსიტეტების რექტორატთან. გაიმართა დისკუსია (მრგვალი მაგიდის ფორმატში) საქართველოს წამყვან მეცნიერებთან.

მომზადდა ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების სამეცნიერო საქმიანობის ამსახველი ანგარიში. ფონდის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს პროექტის გენერალური ასამბლეისა და საორგანიზაციო საბჭოს მუშაობაში.

➤ *“გაერთიანებული ევროპისთვის ზღვის კვლევების სტრატეგიის და პროგრამების შემუშავებისკენ” (SEAS-ERA.NET) 2010-2013.* ფონდმა მთლიანობაში გრანტის სახით უნდა მიიღოს 16 800 ევრო.

**პროექტის მიზანი:** მოამზადოს საფუძველი ევროპის ზღვების კვლევასთან დაკავშირებული სამეცნიერო პროგრამების კოორდინაციისათვის. **ძირითადი ამოცანები:** 1) ერთობლივი კვლევითი პროგრამების/სტრატეგიის შექმნისა და ამოქმედების ხელშეწყობა; 2) ევროპის ზღვების კვლევის ინფრასტრუქტურის და ადამიანური რესურსების ეფექტიანი გამოყენება. პროექტში მონაწილეობს 19 ქვეყნის (მათ შორის ევროკავშირის 5 წევრი სახელმწიფოს) 22 ორგანიზაცია.

მიმდინარეობს შავი ზღვის აუზის კვლევის საერთო პროგრამის მომზადება; ზღვის კვლევასთან დაკავშირებული არსებული სამეცნიერო ინფრასტრუქტურის აღწერა და მისი ერთობლივი გამოყენების შესაძლებლობების დადგენა; ერთობლივი დაფინანსებით სამეცნიერო პროექტების კონკურსის ორგანიზების შესაძლებლობა.

### III. საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება და ხელშეწყობა

#### თანამშრომლობის საკანონმდებლო ბაზის მომზადება

2011 წელს საქართველოსა და გერმანიის კვლევით ინსტიტუტებსა და მეცნიერებს შორის თანამშრომლობის განვითარებისა და გაღრმავების მიზნით, შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და იულისის სამეცნიერო ცენტრს (გერმანია) შორის მომზადდა და ხელი მოეწერა „მემორანდუმს სამეცნიერო თანამშრომლობის შესახებ“. იულისის სამეცნიერო ცენტრი უმსხვილესი ევროპული სამეცნიერო ორგანიზაციაა, რომელიც სხვადასხვა პროფილის 40-ზე მეტ კვლევით ინსტიტუტს აერთიანებს. პროგრამა საშუალებას მისცემს ახალგაზრდა ქართველ მკვლევარებს (მაგისტრანტებს და დოქტორანტებს) შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის შესაბამისი საგრანტო კონკურსის საფუძველზე გაიარონ სტაჟირება და ჩაატარონ კვლევა გერმანიის სამეცნიერო ორგანიზაციებში უკვე მომავალი წლიდან.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა იტალიის კვლევების ეროვნულ საბჭოსა და რომულდო დელ ბიანკოს ფონდის ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობის მემორანდუმები გააფორმა. მემორანდუმები მიზნად ისახავს ორი ქვეყნის სამეცნიერო წრეებს შორის ურთიერთობების გაღრმავებას. თანამშრომლობის ფარგლებში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს მიერ ორგანიზებული იყო ერთობლივი კონკურსი. მხარეები უზრუნველყოფენ მეცნიერთა გაცვლის ხუთი ერთობლივი პროექტის განხორციელებას.

რომულდო დელ ბიანკოს ფონდთან დაიგეგმა ერთობლივ ღონისძიებები ისეთი ფუნდამენტური ღირებულებების შესახებ, როგორებიცაა: „კულტურული მემკვიდრეობა“, „კულტურათაშორისი დიალოგი“ და „ტრადიციული ცოდნა“, რაც ხელს შეუწყობს ქართველ და იტალიელ კოლეგებს შორის ინფორმაციის გაცვლას და ცოდნის გაზიარებას.



საქართველოში საფრანგეთის საელჩოში ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლითაც ფონდმა აიღო ვალდებულება პროექტის - „საერთაშორისო კვლევითი ჯგუფი: დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამხრეთ კავკასიაში“ დაფინანსების შესახებ.

მზადდება „მემორანდუმი სამეცნიერო თანამშრომლობის შესახებ“ ფონდსა და TUBITAK-ს (თურქეთი) შორის.

#### საინფორმაციო-საკონსულტაციო დახმარება

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი უწევს საინფორმაციო-საკონსულტაციო დახმარებას ქართველ მეცნიერებს საერთაშორისო პროგრამებში მათ შესაძლო მონაწილეობასთან დაკავშირებით. ამგვარმა საქმიანობამ 2011 წელს მოიცვა ისეთი პროგრამები, როგორცაა: 1) ნატოს პროგრამა „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის“; 2) ევროკავშირის კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების მე-7 ჩარჩო პროგრამა; 3) მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში გლობალურ საკითხებზე თანამშრომლობის განვითარების პროგრამა (SATREPS); 4) იაპონიის სამეცნიერო ფონდის და იაპონიის ღია საზოგადოების „Matsumae International Foundation“ მიერ გამოცხადებული ინტელექტუალური გაცვლების და სასტიპენდიო პროგრამები და სხვა.

#### ურთიერთობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან

**გაერო:** ინგლისურ ენაზე მომზადდა ინფორმაცია ადამიანის უფლებათა საბჭოს №13/23 რეზოლუციის „The rights to enjoy the benefits scientific progress and its applications“ თანახმად შემუშავებული კითხვარისთვის.

**იუნესკო:** ინგლისურ ენაზე მომზადდა ანგარიში საქართველოს სამეცნიერო სექტორის საქმიანობის შესახებ (Questionnaire to Governments on the Implementation of Science Agenda- Framework for Action).

**ნატო:** ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის მომზადდა ორი (ექვსთვიანი) ანგარიში, რომელიც ეხება NATO-ს წლიურ ეროვნულ პროგრამაში (ANP) საქართველოს მიერ აღებულ ვალდებულებებს თემაზე: “თანამშრომლობა სამეცნიერო საკითხებზე”.

**ევროკავშირი:** ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის მომზადდა ორი (ექვსთვიანი) ანგარიში, ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის (ENPAP) ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

**ევროკავშირი (CERN):** ფონდის გენერალური დირექტორი (2 გზის) და მისი მოადგილე ესტუმრენ ევროპის ბირთვული კვლევების ცენტრს (CERN), სადაც განხილული იყო ორმხრივი თანამშრომლობის გაფართოების პერსპექტივები. ფონდი იხდის პროგრამა ATLAS-ში საქართველოს მონაწილეობის საწევრო გადასახადს. განხილვება პროგრამა CMS-ში (Compact Muon Solenoid) ქართველი მეცნიერების მონაწილეობისათვის საწევრო გადასახადის უზრუნველყოფის საკითხი.

## საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა და უცხოელი სტუმრები

ფონდის თანამშრომლები მოხსენებებით გამოვიდნენ საერთაშორისო ფორუმებზე როგორც საქართველოში (ივ. ჯავახიშვილის სახელობის და ტექნიკურ უნივერსიტეტებში, DTRA-ს სემინარი ბაქტერიოფაგიის ინსტიტუტში და სხვა), ისე საზღვარგარეთ მივლინებების დროს (შვეიცარიაში, უნგრეთში, პოლონეთში).

სხვადასხვა დროს ფონდმა მასპინძლობა გაუწია ათამდე დელეგაციას, მათ შორის, აღმოსავლეთ ევროპაში CNRS-ის კოორდინატორს (საფრანგეთი); საქართველოში სწავლების ინოვაციური მეთოდების პროექტის შემსრულებლებს (პოლონეთი); ქ. ტულუზის უნივერსიტეტის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის უფროსს (საფრანგეთი); იულიხის სამეცნიერო ცენტრის დელეგაციას (გერმანია) და სხვა.

## საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ მეცნიერთა ფორუმი

თბილისში გაიხსნა საზღვარგარეთ მოღვაწე თანამემამულე მეცნიერთა ფორუმი. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ორგანიზებული ფორუმის მიზანი საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული სამეცნიერო პოტენციალის მოზიდვა, მათი გამოცდილებისა და კონტაქტების დახმარებით საქართველოს კვლევითი საქმიანობის განვითარება და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივების დასახვა იყო.

ღონისძიება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, ნოდარ სურგულაძემ და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა, სულხან სისაურმა გახსნეს. სიტყვით გამოსვლისას სულხან სისაურმა 2011 წელს ფონდში განხორციელებულ სიახლეებზე ისაუბრა და მეცნიერებს კვლევების ტექნოლოგიის განვითარებისა და თანამედროვე ინოვაციების დანერგვაში ჩართულობისკენ მოუწოდა.

ორი დღის განმავლობაში უცხოეთში მოღვაწე წარმატებული ქართველი მეცნიერები საქართველოს აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან სამეცნიერო მოხსენებებით წარსდგნენ და გაეცნენ ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე კვლევითი საქმიანობის შესახებ. ფორუმის მსვლელობისას გაიმართა უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარე კვლევითი საქმიანობის პოსტერ-სესიები. ფორუმის დასრულების შემდეგ მოწვეულმა მეცნიერებმა საქართველოს პროფესორ-მასწავლებლების, ახალგაზრდა მკვლევარებისა და სტუდენტებისთვის საჯარო ლექციები წაიკითხეს. საზღვარგარეთ მოღვაწე თანამემამულე მეცნიერებმა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორია დაათვალიერეს. ეს უნიკალური, კვლევითი ლაბორატორია საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული თანამშრომლობის წარმატებული შედეგია. საგრანტო კონკურსში გამარჯვებულ მეცნიერებს, მათ შორის უცხოეთში მოღვაწე ქართველ მეცნიერებს, 2012 წლიდან შესაძლებლობა ექნებათ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორია გამოიყენონ, როგორც ბაზა უნიკალური კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად.




კვლევით ცენტრში სტუმრებმა ბიოუსაფრთხოების მე-2 და მე-3 დონის ლაბორატორიები და ვივარიუმიც დაათვალიერეს, სადაც შესაძლებელი არის საერთაშორისო დონის ბიოლოგიური კვლევების განხორციელება. მეცნიერებთან ერთად კვლევითი ცენტრის შესაძლებლობებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, დიმიტრი შაშკინი და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი, სულხან სისაურიც გაეცნენ.

საზღვარგარეთ მოღვაწე თანამემამულე მეცნიერები მასწავლებლის სახლის მუშაობასაც გაეცნენ, დაისახა სამომავლო თანამშრომლობის გეგმები.

## ფინანსური ანგარიში

რუსთაველის ფონდი ფინანსდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის გამოყოფილი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებით. 2011 წელს ფონდის მთელი ბიუჯეტის 95.3 % სამეცნიერო პროგრამებზე დაიხარჯა, დანარჩენი 4.7 % ფონდის აპარატზე.




*იხ.სურათი 1. ფონდის ბიუჯეტი 2011 წელს.*

**ფონდის დამტკიცებული ბიუჯეტი - 24 875 500 ლარი**

***იხ.სურათი 2. ფონდის დამტკიცებული ბიუჯეტის 2011 წლის პროგრამები და გრანტები - 11 552 921 GEL***





## სახელმწიფო სამეცნიერო გრანტებით დაფინანსებული

### პროექტების მონიტორინგი

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მონიტორინგის დეპარტამენტი 2011 წელს ახორციელებდა სახელმწიფო სამეცნიერო, საკონფერენციო და თემატური, ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სტაჟირების, ქართული ელექტრონული ლექსიკონის, ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალის, ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის, საგრანტო კონკურსის - "ქართული საბავშვო ფოლკლორი", ქართული ეროვნული სამოსის, ერთობლივ საერთაშორისო (STCU, GRDF, BPG, NSS; CNR) და

ინდივიდუალურ სამოგზაურო გრანტებით დაფინანსებული პროექტების განხილვას, ყოველკვარტალური ფინანსური და პროგრამული ანგარიშების შეფასებასა და შესაბამისი მონიტორინგის აქტების მომზადებას.

მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები ესწრებოდნენ საგრანტო პროექტებით გათვალისწინებულ კონფერენციებს, სემინარებს, პრეზენტაციებსა და სადემონსტრაციო დღეებს. მიმდინარეობდა პროექტებში განხორციელებული სამეცნიერო მუშაობის ამსახველი სტატისტიკური მასალის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი.


2011 წელს გრძელდებოდა ფონდის მიერ 2008 წლის სამეცნიერო საგრანტო კონკურსით დაფინანსებული 139, 2009 წელს დაფინანსებული 206 და 2010 წელს დაფინანსებული 130 პროექტის ადმინისტრირება. აგრეთვე, 2010 წელს დაფინანსებული ქართული ელექტრონული ლექსიკონისა და ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალის 2 პროექტის, ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის 2 პროექტის, ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სტაჟირების 28 პროექტის, კონკურსი "ქართული ეროვნული სამოსის" 1 პროექტის, საგრანტო კონკურსი "ქართული საბავშვო ფოლკლორის" 1 პროექტის, თემატური საგრანტო კონკურსით დაფინანსებული 3 პროექტის, საკონფერენციო გრანტებით დაფინანსებული 9 პროექტის, ერთობლივი საერთაშორისო 19 პროექტისა და მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაური სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო 84 პროექტის ადმინისტრირება.

სულ 2011 წელს მონიტორინგი გაეწია 637 საგრანტო პროექტს.

2011 წელს დასრულდა 166 სამეცნიერო პროექტი, აქედან 2008 წელს დაფინანსებული 139 პროექტიდან – 134, 2009 წელს 206 პროექტიდან – 29 და 2010 წელს დაფინანსებული 130 პროექტიდან – 3.

გრაფიკი 3

2011 წლის დეკემბრისთვის მიმდინარე და დასრულებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების რაოდენობრივი გადანაწილება.



დასრულებული პროექტების ფარგლებში გამოიცა 35 წიგნი და 23 მონოგრაფია, გაფორმდა 3 პატენტი, ჩატარდა 85 საერთაშორისო და 32 ადგილობრივი კონფერენცია, 46 სამეცნიერო სემინარი და 15 სადემონსტრაციო დღე.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

საქართველო, თბილისი, 0193, მ. ალექსიძის ქ. №1


ტელ. (+995 32) 2 200 220

ელ-ფოსტა: [info@rustaveli.org.ge](mailto:info@rustaveli.org.ge)

ვებ-გვერდი: [www.rustaveli.org.ge](http://www.rustaveli.org.ge)

## Annual Report

2012





შოთა რუსთაველის ეროვნული  
სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL  
SCIENCE FOUNDATION

**Annual Report**

**2012**

**Tbilisi, 2012**

**Coordinated and edited By** Sul Khan Sisauri

**Materials for the publication where developed by** Tinatin Bochorishvili, Marika Gersamia, Irakli Noselidze, Anna Chickovani, Ekaterine Navrozashvili, Tamar Gorgodze, Nino Demetrashvili, Lela Gudushauri, Teona Iremashvili, Davit Meskhi

**Cover:**

**Shota Rustaveli National Science Foundation**

**All rights reserved. The contents of this publication may be freely used and copied for educational and other non-commercial purposes, provided that any such reproduction is accompanied by an acknowledgement of Shota Rustaveli National Science Foundation as the source.**

## Table of Contents

**Address of the director of Shota Rustaveli National Science Foundation.....**

**Facts and Events.....**

**Activities.....**

- State Science Grants Competition for Fundamental Research
- State Science Grants Competition for Applied Research
- State Grants for Joint Research with Expatriate Georgian Scientists
- Grants Competition for Scientific Studies of Georgian Material and Spiritual Heritage Located in Foreign Countries
- Conference Grants Competition
- Thematic Conference Grants Competition “Vaja Pshavela 150”
- Summer School in Georgian Studies (Kartvelology)
- Grants Competition for Studies of Georgian Childlore
- Georgian National Clothes Research Competition
- Individual Short-Term Travel Grants Competition

**Young Scientists Support Programs.....**

- Grants Competition for Young Scientists to Pursue Research Internship Abroad
- State Grants Competition for Co-advising in Doctoral Program

**Programs for Secondary School Students.....**

- “Leonardo Da Vinci” School Student – Inventors Contest
- Grants Competition for the Development of Educational Computer Software
- Subject Olympiads

**International Cooperation.....**

- Organization of Joint International Grants Programs
- Participation in International Scientific Projects
- Establishment of New International Partnerships
- Forum of Georgian Scientists Working Abroad

**Monitoring of Projects Funded by State Grants.....**

**Financial Report.....**



**Sulkhani Sisauri**

**Director**

**Shota Rustaveli National Science Foundation**

Sustaining high quality scientific research and the overall development of science is still a main priority for the Georgian government and the Ministry of Education and Science. Strong support from the state has enabled Shota Rustaveli National Science Foundation to make 2011 a year of innovation and new project competitions. In addition to building on the successes of old initiatives, we have managed to administer eight completely new scientific programs that are leading us forward.

